# სახალხო გაზეთი

№ 1086 ხუთშაბათი, 9 იანვარი 1914 წ. № 1086

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტ. ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდ. პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოლდანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 20 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი


## გამართულია ხელის მოწერა 1914 წლისათვის

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** წარმოდგ. № 55.

ხუთშაბათს, 9 იანვარს, 1914 წ. ქართ. დრამატ. საზ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება **მეექვსედ** ქართულ სცენაზე ახალი ორიგინალური პიესა ი. გედევანიშვილისა:

### სინათლე,
ხუმრ. 3 მოქ. და 7 სურათად.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

**დასაწყ. სწორედ საღ. 8 ს.** ✦ ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

რეჟისორი ვ. შალიკაშვილი.

**ანონსი:** მზადდებ. წარმოსადგ., მარგარიტა გოტიე, უგვირგვინო მეფენი გიორგი სააკაძის ცხოვრებიდან, ალ. შანშიაშვილისა, დონ კარლოსი, ედიპე კოლონაში და სხვ.

1617 ადმინისტრაცია ქართ. დრამატ. საზოგ. გამგეობისა

---

**ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლთან არსებული**

### ქართული წარმოდგენების მმართველი წრის გამგეობა

უმორჩილესად სთხოვს ყველა

**იმ ინტელიგენტ სცენის მოყვარე ქალებს და ვაჟებს,**

ვისაც სურვილი აქვს სცენაზე მოღვაწეობისა, გაუწიონ დახმარება აღნიშნულ წრეს და მიიღონ მონაწილეობა წარმოდგენის მართვის საქმეში. გამგეობა დარწმუნებულია, მის მოწოდებას უყურადღებოდ არ დასტოვებენ და მსურველნი ჩაეწერებიან წრის კანტორაში, მიხეილის პროსპექტი № 102, **რეჟისორ ალ. წუწუნავასთან**, ყოველ დღე საღამოს 6 საათიდან. 1652

---

1914 წ. გრძელდება ხელის მოწერა საყმაწვილო სურათებიან ჟურნალ

წელიწ. მეათე. **„ნაკადული“** წელიწ. მეათე.

(1914 წ. 1-ლ იანვრიდან 1915 წ. 1-ლ იანვრამდე).

ტფილისი, გოლოვინის პროსპექტი, № 8, შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან № 2.

ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდის გამოდიოდა:

**მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი, მოზრდილთათვის 12 წიგნი.**

[illegible] სურათი, წიგნის პირველ გვერდზე მოთავსებული. ჟურნალშიაც მოთხრობები და სამეცნიერო წერილები დასურათებულია.

**ორივე გამოცემის წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემა წიგნი:**

**„მიწის ძვრა და ცეცხლის მფრქვეველი მთები“,**

(მრავალი სურათებით), **გიორგი ანთელავისა.**

**ჟურნალს ხელმძღვანელობას უწევს საგანგებოდ არჩეული კომისია.**

ფასი ჟურნალისა: ორივე გამოცემა წლიურად—5 მ., ნახევარი წლით—3 მ., საზღვარ-გარედ—7 მ., ნახევარი წლით—4 მან., მცირე წლოვანთათვის ცალკე 3 მ., მოზრდილთათვის—3 მ. ხელის მოწერა მიიღება წლიურად და ნახევარი წლით. **ხელის-მოწერა შეიძლება:**

**ტფილისში:** „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი, გოლოვინის პროსპექტი, № 8, Редакція „Накадули“, Головинскій просп. № 8, და წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. მაღაზიაში, სასახლის ქუჩა **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან, **სამტრედიაში**—ვლ. ნაცვალიძესთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან, ტროფიმ ინასარიძესთან და ანასტასია ლომინაძესთან. **ოზურგეთში** და **ლანჩხუთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასო აბველდიანთან, ნინო გელაშვილთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში**—ნინო ლომაურთან და ქეთევან ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ქიათურაში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში**—ბ. ამბოკაძესთან, **ერევანში**—კ. ოდიშარიასთან, **ყარსში**—ივ. საათაშვილთან, **ალექსანდროპოლში**—ს. შალბერაშვილთან, **როსტოვში**—მ. კლიმიაშვილთან, **ხონში**—მ. ი. ჭავჭანიძესთან.

ვთხოვთ ხელის მომწერლებს, ადრესი გარჩევით დასწერონ, თუ ჟურნალი არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და დროზე შეგვატყობინონ ბინის გამოცვლა.

1631 რედაქტორი **ნ. ნაკაშიძე.** გამომც. **თ-დ პ. თუმანიშვილი.**

---

### ტფილისის კერძო სამკურნალო

**ქაშუეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და მეტეხის სასტუმროს ახლო.**

**ტელეფონი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახებით განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი | **მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>**მალალაშვილი ვ. ზ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. ს.<br>**ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. |
| ქირურგ. სნეულებანი. | **მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½.<br>**მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1.<br>**ფირალოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12.<br>**თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1. |
| ბავშვთა სნეულებ. | **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1.<br>**ფედოროვი ვ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1. |
| ნერვიულ. სნეულებ. და ელექ. | **ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1.<br>**ფონდოევი გ ს.** ყოველ დღე 1—2. |
| ყელ. ყურის და ცხვირ. | **ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. და ვენერ. ავ. | **დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606“ და „914“ წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა, შეღავათიანი საფასურით. წ. 1436

---

1913 წლის 20 ნოემბრიდან

ქართვ. შორის წ.-კითხ. გამავრც. საზოგ. ქუთაის. განყოფილებამ

### გახსნა ახალი სტამბა
საკუთარი — ქუთაისში —

სტამბა საუკეთესოდაა მოწყობილი და იღებს ყოველ-გვარ საქმეებს ქალაქისა და პროვინციებისას,—ქართულ, რუსულ და სხვა ენებზე. ✦ ფასები ძლიერ ზომიერია. 1658

---

### ქართული თეატრი
**ნინოობას, ამა იანვრის 14-ს**

**ტფ. ლ. ქართველ ქალთა საზოგადოება**

**გამართავს**

**სალიტერატურო-სამუსიკო-სამხატვრო**

### საღამოს

I. **ლექციები**—კ. აბაშიძისა, ივ. გომართელისა და ბ. მესხიშვილისა.

II. **საკონცერტო განყოფილება:** ხორო ფილარმონიულ საზოგადოებისა, სიმებიანი ორკესტრი ახალი კლუბისა და სოლისტები.

III. **ცოცხალი სურათები**—ქართველი ქალის წარსულის და ახალის ცხოვრებიდან, მ. ქორელის და ვ. შალიკაშვილის ხელმძღვანელობით.

ბილეთები იყიდება. დასაწყისი საღამოს 8 ს. 1019

---

გორის პირველი კერძო

### სამკურნალო

**ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა)**

**განყოფილებებით.**

კუთხე სობოროსი და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.

**გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:**

**კობერიძე მ. ს.** ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.

**წინამძღვარიშვილი მ. დ.** შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე.

**მესხიშვილი ს. ს.** ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

**ბრიუკნერი ვ. ვ.** თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ. ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

**ვინზბურგი ა. ლ.** კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.

**რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ., ცალკე ოთახი 4 მ.**

ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.

სამკურნალოს ამ ცოტა ხანში ექნება მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორიას. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა, აგრეთვე ათაშანგის Wasserman-ი. **წამლობა „606“, „914“.** 1604

---

### ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება
**არაყიშვილის ნოტები:**

1) **ქართ. ეროვნული სიმღერები** ფორტეპიანოს აკომპანიმენტით: ახ, მთვარევ, შუნდოვანს გულსა, ჩემო თავო, შენდა შეყრამდის, [illegible] თავ თვალის, ოროველა, ნანა, ურმული, მზე (მეგრული), არანანუ, ვაი დორონთი, საარშიყო, მუ ფქიმინა, მზე (გურული), წიგნი, ქალო ლამაზო 1 მ.,

2) **ცეკვა** ფორტ. (დავლური) 50 კ.,

3) **მგოსნ. სიმღ. ქალთა ხორ.** 60 კ.

4) **ეროვნული სიმღერები** (კახური და ქართლური): კალოური, გუთნური, ურმული, ნანა, სათამაშო, მუშური, შაშვო ლამაზო ქიზიყური, ბერი კაცი ვარ, მაყრული, კახური გრძელი მრავალ-ჟამიერ, ზამთარიო, სუფრული, დიდება, ია-ნანა, ზარით ტირილი, მკაში, დიმბეგო, ქალს გიქებენ, შავლეგო, გლესამ და გლესამ, მგზავრული, ცანგალა გოგონა, ჩემო თავო, ჩაკრული . . 65 კ.

5) **ქართ. ერთხმოვ. ეროვნ. სიმღერები:** წერა-კითხვ. გამოც. 20 კ.

6) РОМАНСЫ: Не пой красавица, Я жду тебя, мнѣ снился сонъ, еще такъ много струнъ, თითო . . . 30 კ.

Изъ гафица № 1, . . . 40 კ.

„ „ № 4, . . . 45 კ.

7) Народн. пѣсня Западной Груз. 2 მ.

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас.

---

**საზღვარ-გარეთის კიმონო**

### რ. ა. პორტუგალოვისა

იუწყება, რომ კუკიის (ნიკოლოზის) ხიდზე (№ 23—24) არსებულმა

**საქარხნო მაღაზიამ**

მიიღო დიდ-ძალი **შეკერილი ტანისამოსი** მამაკაცების, ქალებისა და ბავშვებისათვის. მიღებულია აგრეთვე მამაკაცთა კოსტიუმები, ქალებისათვის ქვედატანი და ხალათები ცალ-ცალკე.

**ახლად მიღებულია.** ძალიან იაფად, საქარხნო ფასებზე 30 პროცენტის დაკლებით, იყიდება სეზონიდან დარჩენილი საქონელი. იმედი გვაქვს, საქარხნო მაღაზიაში მყიდველნი კმაყოფილნი დაგვრჩებიან.

აქვე მიიღება ყოველგვარი შეკვეთა.

1632 პატივისცემით **რ. ა. პორტუგალოვისა.**

კიმონო კიმონო

---

ექიმ ლ. გოცირიძის

### სამკურნალო
ქალ. ბაქოში

მუდმივ საწოლებით:

**სულით-ავადმყოფებისა, ავზნიანებისა და ლოთებისათვის.**

**ფასი მორიგებით.**

ადრესი: Баку, магазинная, № 50. 1608

---

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე.**

**გადავიდა** მოსკოვის ქუჩა № 9.

იღებს დილით 9—2 ს., სად. 5—7 ს.

---

**ბერლინის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა გ. მეჯრაბიანცი**

დაბრუნდა უცხოეთიდან და განახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება. სნეულებანი ფილტვებისა—**ჭლექი**—და გულისა. შეთანაბრებული სპეციფიური **ტუბერკულინური წამლობა. ხელოვნური პნევმოტორაქსი. რენტგენის ელვისებური სხივებით ფილტვებისა და გულის გაშინჯვა.**

ყოველ დღე, 9—1 საათ. და საღამოს 5—7 საათ. კვირაობით 9—12 საათ. 9—10 სათ. **საწყლებს უფასოდ.**

ბებუთოვის ქ. სახ. 23. ტელეფონი 7—92. 1516

---

**ელექტრონის, რენტგენის სინათლის**

### სამკურნალო
**საწოლი ოთახებით**

### მიხეილ გედევანიშვილისა

ნერვებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791. 1468

---

### სამკურნალო
**სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა**

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.

**ახვლედიანი.** შინაგანი სნეულ. ბ. ვშვებისა, ყოვ.-დღე 2—3 ს.

**ბელანჟე.** ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—11½ ს.

**ბოჟოვსკი.** ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ., და პარასკ. 4—5 ს.

**ერმოლაევი**—შინაგანი ბავშვებ. ყ.-დღე 1—2 ს.

**ვორობიოვი**—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ., შაბ. და კვირ. 4—5 ს.

**შამაში**, სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1—3 ს.

**გრიგორიანი.** ხირურგ. ავადმყ. ყოველ დღე 11 ნახ.—11 ნახ. საათ.

**ასპისოვი**—ყურ., ყელ. და ცხვირ. ავად. ყ.-დღე 1—3 ს.

**რუდენკო.** შინაგანი ავადმყ. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

**ატენიანცი.** ყელისა, ცხვირ., ყურ. და შინაგანი, 2—3 ს.

**ი. ბ. ჩუდნოვსკი.** ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, 11½—12½ საათ.

**თეთრაძე.** სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.

**მხიტარიანი.** ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.

**ნოვიცკი.** ბებია-ქალი, ყოვ.-დღე 1—2 ს.

**კალამკაროვი.** ბებია, ქალური სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.

**ექ. ქალ. ოსხელიანი.** ქალური სნეულ ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.

**გეინაცი**—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.

**ხოდნევი**—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ., და კვ., 4—5 ს.

**ბაგდოევი**—კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

**სათვალეების არჩევა.**

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძების მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wasserman“-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1070.

---

**ექიმი** კბილისა **პ. მ. მუმულია-კუხალაიშვილი**

გადავიდა ქსენიევის ქუჩაზე № 7, სადაც ტფილისის კერძო სამკურნალოა მიხაილოვის პროსპექტისა და სასტუმრო ვეტცელის ახლო. იღებს დილით 9—2 საათ. საღ. 4—7 ს-მდე. 872

---

**ექიმი პ. ლ. კიკალიშვილი**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5½ საათიდან 7 საათამდე. კახეთის ქუჩა № 2, ტელეფონი 15—27. 1502

---

### ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

**ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.**

იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12, **აქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 737.

---

### გამსესხებელი კასა
### „ამხანაგობა“

პუშკინის ქ. სახლი ბერუჩევისა № 4 (რაბინოვიჩისეული) იძლევა სესხს ყოველგვარ ნივთებისა და ძვირფასეულობის გირაოთი. აგრეთვე ასრულებს სხვა ქალაქების გირაოთა გაგზავნ-გამოგზავნას. 8

---

**ექიმი**

### ი. ზ. გძელიშვილი

იღებს თვალისა, შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, წამლობა აგრეთვე ტუბერკულინებით. 19 თებერვლის ქ. (რიყის ქ.), № 17, ტრამვაის გასაჩერებელთან, მისიონერთა ახალ ეკლესიის გასწვრივ. 916

---

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი**

სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ. ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

---

**გ. გ ო რ შ ი**

**ექიმი** (დოქტორანტი). **მ. დ. წინამძღვრიშვილი**

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირდაპირ. 1571

---

**ექიმი ვ. მუსხელიშვილი**

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

---

### ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ხ. გაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგანავადმყ. 9½ ს. 10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

**ბ. ა. პოპოვი.** ყოვ: დღე, კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

**ექ. ქალი ოსხელიანისა**—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**მ. მ. კლდიაშვილი.** ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

**წამლობა „606“-ით** 1462

# ერთგვარი აზროვნება

1

ჩვენს პრესაში რამდენჯერმე აღიძრა ფრიად საყურადღებო საკითხი იმ სულიერ განწყობილების შესახებ, რომელიც აკავშირებს სოციალურად სრულიად დაშორებულ ჯგუფებს. შეადარეთ, მაგალითად, ჩვენი თავად-აზნაურობა და დასელები. რა უნდა იყოს საერთო მათ შორის? გარეგნულად თუ შევხედავთ საკითხს, თითქოს არაფერი. მაგრამ, თუ ღრმად ჩავუკვირდებით საკითხს, თუ დასელთა და თავად-აზნაურობის სულიერ განწყობილების წარმომშობ მიზეზებს ჩვენს ისტორიულ წარსულში მოვსძებნით, კიდეც ვიპოვნით იმ ნიადაგს, რომელზედაც შეიძლებოდა აღმოცენებულიყო სულიერი ნათესაობა. ეს ნიადაგია დასუსტება ერის შემოქმედ ძალებისა ამ ერთი საუკუნის წინ. ისტორიულ ცხოვრების ტრიალით დასუსტებულ საქართველოს მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ისეთი კატასტროფა დაატყდა თავს, რომ დიდხანს სული ვერ მოიბრუნა. სრულმა პოლიტიკურმა და საზოგადოებრივმა აპატიამ მოიცვა იგი. ახალი პირობები მძიმე ლოდად დააწვა საქართველოს, რომელიც ჯერ გრძნობდა მის სიმძიმეს, მაგრამ მალე შეეთვისა ამ მდგომარეობას. მას დაეკარგა საკუთარი ნების-ყოფა. გაწყდა კავშირი საქართველოს **პოლიტიკურ** წარსულსა და აწმყოს შორის. დაიკარგა ისტორიულ-პოლიტიკური პერსპექტივაც. დამახასიათებელი თვისება ამ დროინდელი საზოგადოებრივი აზროვნებისა იყო სრული უიმედობა, სრული უილაჯობა, სრული უნდობლობა თავის საკუთარი ძალ-ღონისადმი. დიდს ვნებას მოგვიტანდა ეს ეროვნული სკეპტიციზმი, დიდხანს რომ გაგრძელებულიყო იგი. მაგრამ ჩვენდა საბედნიეროდ, იგი უკვე ისტორიულ წარსულს ეკუთვნის. ამავე ეროვნული სკეპტიციზმითაა გაჟღენთილი დასელთა აზროვნებაც. მათ იკისრეს ახლად შობილი დემოსის მესვეურობა, მაგრამ ამასთანავე ერთად თავად-აზნაურული ეროვნული სკეპტიციზმი ხალხში გადაიტანეს. საქართველოს თავისი საკუთარი ნების-ყოფა, მათის წარმოდგენით, არ უნდა ჰქონოდა. მისი ბედის გამომჭედია არა თვით იგი, არამედ სხვა, რომლის კეთილ-განწყობილებაზეცაა დამოკიდებული, საით წავა საქართველოს განვითარება. საქართველომ თავისი ნების-ყოფა უნდა დაუმორჩილოს სხვის ნების-ყოფას და იაროს იმ გზით, რომელსაც უჩვენებს ეს სხვა. დასელებს ჰგონიათ, რომ ეს არის უმაღლესი განხორციელება ინტერნაციონალური პრინციპისა.

არსებითად ამ სულიერ განწყობილებას არაფერი საერთო არა აქვს ინტერნაციონალიზმთან. ინტერნაციონალიზმი სრულიადაც არ გულისხმობს ეროვნულ ნების-ყოფათა უარყოფას. პირიქით, იგი არის საშუალება, რომელმაც უნდა შეაკავშიროს თვითმოქმედი ეროვნებანი, მან უნდა შეათანხმოს უკვე არსებული ეროვნული ნების-ყოფანი. მაგრამ, რა ფასი და ღირებულება შეიძლება ჰქონდეს ინტერნაციონალიზმს, თუ არ არსებობს ცნობიერებაში მოსული ერი, როგორც ინდივიდუალური ერთეული? რა უნდა შეაკავშიროს ინტერნაციონალმა, თუ არ არსებობს შესაკავშირებელი ერთეული? დასელთა წარმოდგენით საქართველო, როგორც საქართველო, აღარ არსებობს. მათის აზრით, საქართველოს თავისი საკუთარი პოლიტიკური იდეალი არ უნდა ჰქონდეს. იგი უნდა არსებობდეს იმდენად, რამდენადაც **სხვა** არსებობს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დასელები ამ შემთხვევაში ლაპარაკობენ ხოლმე არა იმაზე, თუ რამდენად მოსახერხებელია დღევანდელ პოლიტიკურ პირობებში ამ იდეალის განხორციელება, არამედ იმაზე, რომ საქართველოსთვის არც არის საჭირო ისეთი პირობები, რომლებიც მას განვითარების უკეთესს პირობებში აგდებს. დასელების აზრით, საქართველოსთვის მავნებელია თავისი საკუთარი გზით სიარული, მან უნდა იაროს მხოლოდ იმ გზით, რომელსაც სხვა უჩვენებს. ასეთი გამათახსირებელი, თავისი საკუთარი თავის უარყოფის ქადაგება შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც ისტორიულ პირობებს ამის შესაფერი ნიადაგი მოუმზადებია, მაგრამ ეს კიდევ იმას არა ნიშნავს, რომ მუდამ ასე იქნება. გაივლის ხანი, ერის სასიცოცხლო ძალები მომაგრდება და მაშინ უპირველესად ყოვლისა იგი მოიგლეჯს იმ გამხრწნელ სულიერ განწყობილებას, რომელიც ისტორიულ წარსულში დაიბადა და ისტორიისავე ჩაბარდება. დასელთა ეროვნულ სკეპტიციზმს იგივე დღე მართება, რაც დაემართა თავად-აზნაურულ ეროვნულ სკეპტიციზმს.

როდესაც ამ საგანზე ჩამოვაგდებთ ხოლმე ლაპარაკს, დასელები ჩვეულებრივად გვიმტკიცებენ, ყოვლად შეუძლებელია ამ ორი ჯგუფის დაპირისპირება, რადგანაც ერთნი პროლეტარიატის ინტერესს იცავენ და მეორენი კი ფეოდალები არიან. რა თქმა უნდა, ეხლანდელ დროში ძნელად თუ გამოჩნდება ისეთი უვიცი ადამიანი, რომელსაც არ ესმოდეს, რანაირი განსხვავება არსებობს სოციალ-დემოკრატთა და თავად-აზნაურობის შორის, თუ ამ ორ სოციალურ ჯგუფს საერთო სოციალ-პოლიტიკურ თვალსაზრისით განვიხილავთ. მაგრამ, როდესაც ეროვნულ სულიერ განწყობილებაზე მიდგება ჯერი, მაშინ სურათი იცვლება და დიდი ნათესობა ჩნდება იქ, სადაც არავითარი მსგავსება არ უნდა არსებობდეს. თუ სხვა ერთა ცხოვრებას მოვიგონებთ, სულ სხვანაირი სურათი წარმოგვიდგება. პოლონეთში მოწინავე წოდება გაცილებით უფრო ზომიერია ეროვნულ საკითხში, ვიდრე სოციალური ჯგუფები და მათ შორის სოციალ-დემოკრატებიც. დამოკიდებულება პოლონეთისა და ცენტრს შორის ზომიერებს და სოციალ-დემოკრატებს ერთნაირად არა აქვთ წარმოდგენილი. ამასთანავე ერთად მაშინ, როდესაც ზომიერები, ეგრედ წოდებული „უგოდოვცები", კომპრომისის გზას ადგებიან, სოციალ-დემოკრატებს არავითარი კომპრომისი არა სწამთ. შეადარეთ ეს გარემოება ჩვენს მდგომარეობას და მაშინვე მიჰხვდებით, რა დიდი საზღვარია პოლონეთის სოციალ-დემოკრატებსა და ჩვენებურ დასელთა შორის. გარემოება ხელს არ გვიწყობს, თორემ უფრო ნათლად შეგვეძლო დაგვენახვებინა მკითხველისთვის, რანაირია პოზიცია პოლონეთის სოციალისტური პარტიებისა და ზომიერებისა და რითი განსხვავდება ეს პოზიცია ქართველ დასელთა პოზიციისაგან.

მიუხედავად ამისა, დასელები მაინც თავს იკატუნებენ, თითქოს არ ესმოდეთ, რა გვაქვს მხედველობაში, როდესაც დასელებისა და თავად-აზნაურობის სულიერ განწყობილების ნათესაობაზე ვლაპარაკობთ. აი ეხლაც, ბ-ნი შორეული გვეკამათება და გვიმტკიცებს იმას, რაც ყველასთვის აქსიომად არის გადაქცეული; მაგრამ ამ მტკიცებაში არის ზოგი ერთი რამ ისეთი, რასაც უნდა ყურადღება მიექცეს. აი, რასა სწერს ბ-ნი შორეული: „არის ორი რუსეთი და ორი საქართველო; ერთი გაბატონებულთა და მეორე დამშვრალთა. ამ ორ ნაწილს შორის გაალმასებული კლასიური ბრძოლაა გაჩაღებული, შეურიგებელი ომია ატეხილი. ჩვენი თავადები რუსეთის თავადებს ენათესავებიან სულით და ბიუროკრატიის კალთას ეფარებიან. მისგან ელიან დახმარებას და შინაურ მოპირდაპირეთა შესამუსრავ საშუალებას. მეორე საქართველო კი ამ მოკავშირეთა წინააღმდეგ ახალგაზდა რუსეთს უმეგობრდება და ასე თავის ძალებს აათკეცებს დიად ისტორიულ მისიის შესასრულებლად." ბ-ნ შორეულს, ალბად, ჰგონია, რომ სიტყვების ეს კორიანტელი და რახარუხი სრულიად საკმარისია იმ მოსაზრების გასამართლებლად, რომ დასელების და თავად-აზნაურობის ეროვნული სკეპტიციზმი ნაყოფია ერთი და იმავე ისტორიული უდროობისა. უპირველესად ყოვლისა აღსანიშნავია, რომ ბ-ნი შორეული ტყუილს ამბობს. არსებობს არა **ორი** რუსეთი და **ორი** საქართველო, არამედ მხოლოდ **ერთი** რუსეთი და **ერთი** საქართველო. ხოლო თვითეულ მათგანში არსებობს სხვა და სხვანაირი კლასები და ისიც არა მხოლოდ ორ-ორი, არამედ რამდენიმე. სოციალური სტრუქტურა თვითეული მათგანისა ფრიად რთულია და მხოლოდ მარქსისტების თავში შეიძლება აღიბეჭდოს იგი ისე მარტივად, როგორც ბ-ნ შორეულს წარმოუდგენია.

ამიტომ, ვისაც საკითხის გამორკვევა ჰსურს, თავი იმითი კი არ უნდა მოიტყუოს, რომ ერთ სახიანი რუსეთი ორად განპობილად დაინახოს და კლასთა შორის უკან ვეღარ შეამჩნიოს რუსეთი როგორც მთელი, არამედ შეგნებულად შეხედოს ფაქტს და გამოარკვიოს, რანაირი ურთიერთობა შეიძლება დამყარდეს რუსეთსა და საქართველოს შორის, მიუხედავად იმ კლასთა ბრძოლისა, რომელიც თვითოეულ მათგანში სწარმოებს და, უეჭველია, შემდეგშიაც იწარმოებს.

ბ-ნ შორეულს ძალიან კარგად უნდა მოეხსენებოდეს, რომ, გარდა კლასიური ბრძოლისა, არსებობს კიდევ მრავალი ისეთი რამ, რასაც სერიოზული ანგარიში უნდა გაუწიოს არა მარტო სოციალისტმა, უბრალო პროგრესისტმაც კი, თუ მისი პროგრესისტობა გულწრფელია. ერთი ამნაირი მოვლენათაგანი არის ეროვნული საკითხი და, სხვათა შორის, ბედი საქართველოსიც. მაგრამ ბ-ნი შორეული უმჯობესად სცნობს თავისთვის თვალი დახუჭოს და არ დაინახოს საქართველო, როგორც მთელი ინდივიდუალობა, რომელიც უსიამოვნოდ ეჩხირება თვალში და არღვევს თავში სქემატიურად ჩალაგებულ აზრებს და დოგმატიური აზროვნების წყალობით შექმნილ ჰარმონიას.

როდესაც ბ-ნი შორეული ორ რუსეთსა და ორ საქართველოზე სწერს, მხედველობაში აქვს ორი კლასი, მისივე ტერმინოლოგიით, გამყვლეფელი და გაყვლეფილი. მაგრამ თუ ცოტათი მაინც გავახილეთ ბისტ გადაკრულ თვალებს, დავინახავთ, რომ რუსეთში სხვანაირი ცნებებიც არსებობს. არის ცხება რუსი, პოლონელი, ქართველი და სხვა. ხშირად ხდება, რომ ადამიანები ერთმანეთს უპირისპირდებიან არა როგორც გაყვლეფილები და გამყვლეფლები, არამედ როგორც წარმომადგენელნი ამა თუ იმ ეროვნებისა. და სწორედ ასეთს შემთხვევებში ბევრნაირი უცნაურობა ჰხდება. ამისთანა შემთხვევებში რუს სოციალ-დემოკრატსაც კი არ უნდა დაავიწყდეს, რომ ის რუსია და იჩენს ზოგიერთ თვისებებს, რომელთაც წმინდა კლასიურ ბრძოლასთან არაფერი საერთო არა აქვს. ბ-ნ შორეულს ამისთანა მაგალითები, ალბად, ავიწყდება, ან არ უნდა მოიგონოს: ისიც ჰარმონიას არღვევს.

მაგრამ, თუ ბ-ნ შორეულს ავიწყდება, ჩვენ მოვაგონებთ.

ბ-ნი შორეული სწერს: „სახალხო გაზეთი" დარწმუნებულია, რომ ეს უკანასკნელნიც (პლეხანოვ-მარტოველნი, ა. ჯ.) ისეთივე მტრები არიან ქართველი ერის, როგორც პირველნი, რომ პლეხანოვ-მარტოვის და რუსეთის მუშათა კლასის აზრი და მიზანი ქართველების გადაშენებაა" რუსეთის მუშათა კლასის აზრი ჩვენ არ ვიცით, რადგახაც მას თავისი აზრი ჯერ არსად გამოუთქვამს, მაგრამ ის ვაჟ-ბატონები კი, რომელნიც მუშათა სახელით ლაპარაკობენ და თავიანთ თავს სოციალ-დემოკრატებს უწოდებენ, ხშირად გვაძლევენ საბუთს ვიფიქროთ, რომ იმინი რუსულ შოვინიზმში პურიშკევიჩზე ძალიან შორს არა სდგანან. ამის საუკეთესო მაგალითს იძლევა ის დოკუმენტი, რომელიც არა რუსთა სკოლების საკითხს შეეხება და რომლის შესახებაც ჩვენ ცალკე წერილი გვქონდა მოთავსებული. თუ ვიგულისხმებთ, რომ ამ დოკუმენტის დამწერნი ხალხის წარმომადგენელნი არიან, მაშინ თამამად შეგვეძლიან ბრალდება რუსის ხალხზედაც გადავიტანოთ. მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, რუსის ხალხი აქ არაფერს შუაშია. შოვინისტობენ და არა რუსთა სკოლების შესახებ ამბობენ—რუსეთში მხოლოდ რუსული სკოლა შეიძლება იყოსო—ისეთები, რომელთა აზროვნება, მიუხედავად სოციალ-დემოკრატიული ქურქისა, პურიშკევიჩის ლაბარატორიაში გამომცხვარ აზროვნებას ძალიან წააგავს. ამის შემდეგ, ნურც გაუკვირდება ბ-ნ შორეულს, თუ დიდის ეჭვით შევხედეთ ისეთს ვაჟბატონებს, რანაირიც ბ-ნნი პლეხანოვი და ძმანი მისნი ბრძანდებიან. სოლიდარობაზე ლაპარაკობენ იმ დრომდე, სანამ ეს მითთვის ხელსაყრელია და, როდესაც გაუჭირდებათ, მუშტის გამოჩენაც არ გაუჭირდებათ. ერთი ასეთი მუშტი უკვე დაგვანახვეს: არავითარი ეროვნულ-კულტურული ავტონომია საჭირო არ არის, არც ეროვნული სკოლაა საჭირო, რუსეთში მხოლოდ რუსული სკოლა უნდა იყოსო. ამ მუშტის სიმწვავეს მხოლოდ ის ვერ გრძნობს, ვინც მუდამ წელ-მოხრილი ჩვეულა სიარულს.

არ. ჯ—შვილი.

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ახალმა წელმა ერთი სასიამოვნო ახალი ამბავი მოგვიტანა—ტფილისის სამოსამართლო პალატის თავმჯდომარის ლაგოდას გადაყვანა. ამ ამბავს დიდი ხანია მოელოდა ჩვენი საზოგადოება, ლაგოდას მოღვაწეობა სამართლიანობისა და კავკასიელთა ეროვნების წინააღმდეგ აღძრაული, მეტად აშკარა იყო და ხმა მაღლა ღაღადებდა, რომ ბიუროკრატიული თვითნებობასაც საზღვარი უნდა ჰქონდეს, მაგრამ რაღაც მანქანებით ლაგოდა დღემდის მაგრად იჯდა თავის სავარძელში და მოურიდებლად განაგრძობდა თავის პოლიტიკას. ლაგოდა ისე ძლიერი იყო, რომ ხმის ამოღებასაც კი ვერავინ ბედავდა მის წინააღმდეგ. ახლა მხოლოდ გადაყენების შემდეგ შესაძლებელი გახდა ვილაპარაკოთ, თუ რამდენად დამღუპველი იყო მისი მუშაობა ჩვენი ქვეყნისათვის. გაზეთი „ზაკავ. რეჩი" სწერს:

„ყველანი სიხარულით მიეგებნენ ლაგოდას წაყვანას როგორც საზოგადოებაში, ისე სასამართლოებშიც, რადგან იგი მტერი იყო ადგილობრივ საზოგადოებისა და მართლმსაჯულებისა... ლაგოდა ამ სამი წლის წინად გადმოიყვანეს ჩვენში და დაუყოვნებლივ შეუდგა იმ პირების სიის შედგენას, რომლებიც მას არ მოსწონდა და სამსახურიდან უნდა გასულიყვნენ. პალატის საზოგადო კრებაზე საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ არავის მოერიდება და ორი წლის განმავლობაში ძირიანად გასწმენდს სასამართლოებს „არასაიმედო" მოსამართლეებისაგან. ასეთს მუქარას რომ მეტი ძალა ჰქონოდა, ხმა გავრცელდა, რომ ლაგოდა იუსტიციის მინისტრის ნათესავია, რომელიც დაუბრკოლებლივ შეუსრულებს ყოველს ვე თხოვნასო...

ლაგოდა გასაოცარის სიმხნით და მოხერხებით სდევნიდა არა სასურველ მოსამართლეებს. აშინებდა მათ, თუ თქვენის ნებით გავალთ სამსახურიდან, პენსიას მიიღებთ, თუ არა—უპენსიოთ დარჩებითო... ხოლო მოსამართლეებს სასახელოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა არ გაება ლაგოდას მახეში. მაგრამ ერთს რასმე კი მიაღწია ლაგოდამ—იმას, რომ სესიის მოსამართლეებს პირადის შეხედულობით ნიშნავდა, რის შემდეგ ის იყო, რომ საგზაო ფულებს აჯილდოვებდა სასურველს მოსამართლეებს, და სასამართლოს განაჩენი დაექვემდებარა მის ნებას და განზრახვას.

მოსამართლეთა ასეთის „შერჩევის" მნიშვნელობა მეტად აშკარაა. ვის არ ახსოვს, თუ რა შიშს იწვევდა ბრალდებულთა და მათ დამცველებს შორის იმის ამბავი, რომ სესიის წევრებად ესა და ეს მოსამართლენი არიან დანიშნულნი ლაგოდას მიერო. რამდენი იყო რიდიული ცდა და მეცადინეობა იყო საჭირო იმისთვის, რომ საქმე გადადებულიყო როგორმე სხვა დროის სესიისათვის"...

ასე მტრულად ეპყრობოდა ლაგოდა ადგილობრივ ვექილებსაც და ყოველმხრივ ავიწროებდა მათ თავის მოქმედებას. მას სძაგდა ყველაფერი ადგილობრივი და დაუფარავად ლაპარაკობდა, რომ ის დაუძინებელი მტერია არა რუსთა. ყველას ახსოვს მისი სიტყვები, რომ კავკასიაშისაც სამართლო უნდა იყოს რუსულიო, ე. ი. უნდა ემსახურებოდეს გარუსების პოლიტიკასო.

ლაგოდა აღარ არის, იგი მოკვდა ჩვენთვის, მაგრამ კვლავ აღარ მოგვევლინებიან მისი მსგავსი ბატონები? არ ვიცით.

# ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **მეფის მოადგილემ** მინისტრთა საბჭოში წინადადება შეიტანა ტფილისისა, ქუთაისისა, ერევნისა, ბაქოსა, განჯისა, შავი ზღვის გუბერნიებში გუბერნატორის კანცელარი...

# წასაბაძი მაგალითი

(როგორ ააშენა კოოპერატიული წისქვილი ს. კრიმსკაიას მომხმარებელმა საზოგადოებამ).

სწრაფის ნაბიჯით მიდის წინ კოოპერაციის განვითარება რუსეთში. ამ უკანასკნელ ხანებში იქ პირდაპირ საარაკო საქმეები ხდება. ერთ ასეთ „საარაკო საქმეს" მინდა გავაცნო მკითხველები ამ მოთხრობით, რომ შემდეგ ამისა ვუძღვნა რამდენიმე სპეციალური წერილი ჩვენს კოოპერატივებს საერთოდ და კერძოთ ქუთაისის „პროგრესსა" და აბაშის „ანგარიშს", რომელმაც ეს-ეს არის შესძლო მძიმე კრიზისის გადატანა და დაადგა აღორძინების გზას.

„უარეს მდგომარეობას" განიცდიდა კრიმსკაიას მომხმარებელი საზოგადოება წელიწად ნახევრის წინედ. ბევრს ეგონა მაშინ, რომ მისი საქმე წასული იყო და მოსკოვის კავშირის რწმუნებულთა 26-ე კრებაზე, რომელსაც დ ესწრო ამის დამწერიც, როსტოვის აგენტმა დიდი შენიშვნა მიიღო „ასეთ საზოგადოებისთვის" დიდი კრედიტის გახსნისა გამო. ამაოდ ჩაიარა კავშირის ხელმძღვანელთა განმარტებამ, რომ „სწორედ მაშინ იწყებოდა ს. კრიმსკაიას საზოგადოება შემოქმედებას, ნამდვილ კოოპერატიულ მუშაობას... „წყდიადს განთიადი მოყვებაო"!.. მაგრამ როსტოვის აგენტი, ბ-ნი დიბნიცკი, იძულებული შეიქნა თავი მიენებებია სამსახურისთვის... გავიდა წელიწადი მას შემდეგ და რა მოხდა?

— გამართლდა იმედები კრიმსკაიას საზოგადოებაზე. საზოგადოებამ გააფართოვა მოქმედება, გადაიტანა კრიზისი და სამუდამოდ განმტკიცდა ს. კრიმსკაიასა და მის მიდამოებში კოოპერატიული ცხოვრება.

როსტოვის გაზეთ „Утро Юга"-სა და თითქმის ყველა საკოოპერაციო ჟურნალ-გაზეთებში აი რას მოგვითხრობს ახლა მოსკოვის კავშირის როსტოვის სააგენტოს ინსტრუქტორი, ბ-ნი ი. კაბლიანსკი, ყოფილი მუშაკი ამ საზოგადოებისა.

ს. კრიმსკაიას კაზაკებმა დაარსეს მომხმარებელი საზოგადოება. გახსნეს საზოგადო დუქანი და ნანობენ!..

ბევრს ეგონა, რომ იქ საქონელს ნახევარ ფასად იშოვიდენ: ორშაურიანს შაურათ.

მოლოდინი არ გამართლდა. დასაწყისში მართლაც იქ საქონელი უფრო იაფი იყო, ვინემ კერძო დუქანში. განსხვავება კაპიკიდან ორ შაურამდე იყო და მეტიც, თან საქონელსაც საუკეთესო ხარისხისას ღებულობდენ.

გაიგო ეს ადგილობრივმა ვაჭარმა ივანე პავლეს ძემ და მეტოქეობა გაუწია მომხმარებელ საზოგადოებას. „ქვეყანას შევძრავ და მომხმარებელ საზოგადოებას მაინც გავანადგურებო".

საზოგადო მაღაზია საქონლის ფასს კაპიკს დაუკლებს, ივანე პავლეს ძე—ორ კაპიკს; საზოგადო—ორს, იგი—სამს და ასე—ამნაირად მწვავდებოდა მდგომარეობა კერძო ვაჭარსა და კოოპერატივს შორის.

ხალხი, მოგეხსენებათ, ბნელში ცურავს მიდის იქ, საცა უფრო იაფია!..

ის არ ფიქრობს იმაზე, რომ მომხმარებელი საზოგადოება რომ არ დაარსებულიყო, ივანე პავლეს ძე არ გააიაფებდა საქონელს. ის არ ფიქრობს აგრედვე იმაზედაც, რომ, თუ ივანე პავლეს ძემ მოახერხა საზოგადო მაღაზიის დაუძლურება და იგი დაიხურა, მაშინ ივანე პავლეს ძე ზარალს ერთს სამად აიღებს ისევ ხალხის კისრიდან.

მაგრამ ამას ვინ იდარდებდა, რომ ბრძოლა ივანესა და მომხმარებელ საზოგადოებას შორის კიდევ უფრო არ გამწვავებულიყო.

საქმე ის იყო, რომ ამ ივანე პავლეს ძეს, დუქნის გარდა, წისქვილიც ჰქონდა და ამ წისქვილში ფქვავდა პურს მთელი ოლქი. საფქვავი აუარებელი მოსდიოდა და რიგს მთელი კვირაობით უცდიდნენ.

ვისაც რაიმე დამოკიდებულება ჰქონდა მომხმარებელ საზოგადოებასთან, იმას კიდევ მეტი დრო უნდა დაეკარგა.

ცდასა და დროს დაკარგვას კიდევ შეურიგდებოდნენ, რომ დაცინვას საზღვარი ჰქონოდა...

... „ოჰო, ფიქრობდით, ალბად, რომ თუ გახსნიდით საზოგადო დუქანს, მე დავიღუპებოდი... არა, ბიძიებო!.. ვნახოთ, ვინ გაიმარჯვებს ჰო... პური ჩემთან მოგაქვთ დასაფქვავად, საქონლისთვის კი კოოპერატივში მირბიხართ... კარგი!.. არა უშავს!.. ჩვენც პატივსა ვსცემთ, პირველად ყოვლისა იმათ, ვინც ჩვენგან ყიდულობს საქონელს, შემდეგ კი... შეიძლება... თქვენც მოგიწიოთ რიგიო"...

კაზაკები აკრაჭუნებდნენ კბილებს ამის გაგონებაზე, მაგრამ რა უნდა ექნათ, როცა მეორე წისქვილი 20 ვერსით იყო მათგან დაშორებული.

ხალხი თანდათან რწმუნდებოდა, რომ სანამ ამ სოფლის წურბელას წისქვილი ექნება მასთან ვერაფერს გახდებოდნენ. რასაც ის დუქანში წააგებდა, იმას ზედ მეტად აიღებდა წისქვილით. ჯიბე კი ძას ერთი აქვს... ყველაფერს შეასწორებს...

მოიწვიეს საზოგადო კრება. გამგეობამ მოხსენება წაიკითხა. ჩარჩი-წურბელა გვავიწროვებს დუქნით.. სულს გვიხუთავს წისქვილითო... გვირჩიეთ, წევრებო, როგორ მოვიქცეთო?..

კაზაკებს შორის იყო ერთი სახელდობრ იაკობ ვასილის ძე, ქალაქში მუშათ ნამყოფი... იყო ციმბირის გუბერნიებში... გაგებული და ჭკვიანი კაცი, ერთის სიტყვით!

იაკობ ვასილის ძე ეუბნება თავის მოძმეთ: გიყურებთ, ძმებო, და განცვიფრებაში მოვდივარ... ორასზე მეტი კაცი გაჩერებულხართ და სტირით, თუ რა მოუხერხოთ ერთ კაცს...

წელიწად ნახევრის წინათ, როცა მას საქონელზე სამჯერ მეტს აძლევდით, თქვენ აგრედვე იყავით გაჩერებული... მაშინ თქვენ მაინც მიხვდით, თუ როგორ უნდა დაგეხსნიათ თავი ამ უბედურობისათვის, ზოგმა თუმანი შემოიტანა, ზოგმა ორი, ზოგმა კი ასი და გახსენით საკუთარი დუქანი!..

მერე რა მოჰყვა ამას? ის, რომ ახლა *) თქვენ გაქვთ 2500 მანეთი წლიური მოგება და ამის გარდა ივანე პავლეს ძე იძულებული გაჰხდეთ ძალზე გაეიაფებია საქონელი...

რატომ ასე არ იქცეოდა წინა წლებში?... იმიტომ რომ არ არსებობდა მომხმარებელი საზოგადოება.

აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ თუ თქვენ მაშინ გამონახეთ გამოსავალი უხერხული მდგომარეობიდან, დღესაც უნდა ეცადოთ მეორე უბედურებას ისეთივე გზით დააღწიოთ თავი.

ჩემის მხრივ მოგახსენებთ, რომ მას შემდეგ, რაც ივანე პავლეს ძემ იუკადრისა ჩემგან სიტყვის დაბრუნება და უბრძანა მოსამსახურეთ ჩემი გაგდება წისქვილიდან, მე დარწმუნებული ვარ, რომ ივანე პავლეს ძე იბატონებს მანამდი, სანამ მის ხელში იქნება წისქვილი.

ჩვენც მისი მონა-მორჩილები ვიქნებით მანამდი, სანამ არ ავაშენებთ ჩვენს კოოპერატიულ წისქვილს.

აბა, დავფიქრდეთ, ჩვენს საზოგადოებაში სამასზე მეტი წევრია... თუ ყველანი ერთსულოვნობით მოვეკიდებით საქმეს, ერთი წლის განმავლობაში საკუთარი წისქვილი გვექნება!..

ამ სიტყვებმა აღაფრთოვანა „ძმები". ყველანი ალაპარაკდნენ!

— მართალია,—წამოიძახებს ერთი წევრი,—უნდა ავაშენოთ საკუთარი წისქვილი!.. მაგრამ რა საშვალებით ავაშენოთ, შევსძლებთ თუ არა ასეთი დიდი საქმის განხორციელებას?—

— შევსძლებთ, შევსძლებთ!—შემოსძახეს წევრებმა. მხოლოდ ამ საქმეში მთელმა სოფელმა უნდა მიიღოს მონაწილეობა!..

ხანგრძლივი კამათის შემდეგ გადასწყვიტეს, წისქვილის აშენებაში მონაწილეობა მიეღოთ, როგორც კოოპერატივის წევრებს, ისე არა წევრებსაც.

სოფლის ყრილობა მოიწვიეს ერთი კვირის შემდეგ. გადაწყდა ერთხმად წისქვილის აშენება.

მდინარე დონის გაღმა მდებარეობს სოფ. კრიმსკაიას მცხოვრებთ უძრავი ქონება, 1000 დესიატინა მიწა, რომელიც, სიშორის გამო, იჯარით იყო გაცემული 10,000 მანეთად წელიწადში.

ამ მიწის საიჯარო ფასი თავიდანვე საზოგადო საქმეებისთვის იხარჯებოდა. ხიდების შესაკეთებლად, გზების გასაყვანად, სკოლისა და სხვა საზოგადო დაწესებულებებისათვის. ყრილობამ გადაწყვიტა, რომ დღეიდან მთელი შემოსავალი ამ მიწიდან უნდა გადაიდოს წისქვილის ასაშენებლადო.

დაადგინეს აგრედვე, რომ ყველა არა წევრები დაუყოვნებლივ ჩაწერილ იყვნენ კოოპერატივში.

თავის დადგენილებებზე ყრილობამ შეადგინა განაჩენი, რომელიც შეამოწმა ატამანმა (მამასახლისმა).

ამის შემდეგ აირჩიეს რწმუნებულები 7 კაცისაგან, რომელთაც უნდა ეწარმოებიათ წისქვილის აშენების საქმე.

პირველად ყოვლისა რწმუნებულები გაემგზავრენ ქ. როსტოვში, რომ გაეგოთ სატეხნიკო კანტორებში და გაეგებულ პირებისგან, თუ რამდენი დაუჯდებოდათ და როგორ უნდა დაეწყოთ წისქვილის აშენება?

ერთ კანტორაში მათ უთხრეს, რომ წისქვილის აშენება შესაძლოა შემდეგს პირობებშიო:

მთელი მოწყობილობა წისქვილისა, რომელიც დაფქვავს დღე და ღამის განმავლობაში 2000 ფუთს, დაჯდება 35,000 მანეთი. ამ ფასად კანტორა იძლევა. წისქვილის ქვებს დიზელის სისტემის 100 ძალიან მ...

*) პირველ წელიწადში ამ კოოპერატივსაც ზარალი ჰქონდა.

ისა და საგუბერნიო სამართველოთა თანხის გაძლიერებაზე. მეფის მოადგილის წინადადებამ უწყებათაშორის სხვა და სხვა აზრი გამოიწვია. ფინანსთა სამინისტრო და სახელმწიფო კანტროლი მოითხოვდა თანხათა შემცირებას. შინაგან საქმეთა მინისტრმა მაკლაკოვმაც შემცირება მოითხოვა. მეფის მოადგილეს თვის წინადადებას იცავს („რუსკ. ვედომ.“).

◆ დეპეშათა პეტერბ. სააგენტო იტყობინება: ტფილისის სამოსამართლო პალატის სესიამ ბაქოში დაიწყო საქმის გარჩევა მომრიგებელ მოსამართლედ ნამყოფ ბელიაევისა, და მომრიგებელ მოსამართლეთა კრების მდივნის ასკეროვისა, რომელთაც ჰბრალდებათ 300 ათას მანეთის გაფლანგვა. ამავე საქმის გამო სამართალში მიცემულია ხაზინის ექვსი მოხელე; ამათ გაფლანგვის საქმეში მონაწილეობა ჰბრალდებათ. მთავარი ბრალდებული ასკეროვი გარდაცვლილა; მას კატორღა ჰქონდა მისჯილი მომრიგებელ მოსამართლის შიმანსკის მოკვლისთვის. მოწმე 20-ზე მეტია.

◆ **კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა** მეფის მოადგილის ნებართვით განკარგულება დაუგზავნა ქალთა და ვაჟთა სასწავლებლის გამგეებს, იდღესასწაულონ წმ. ნინოს დღესასწაული 14 იანვარს.

◆ **მოსკოვის შრომის არტელის რწმუნებულმა პ. რუხაძემ** გუბერნატორს წარუდგინა წესდება „ტვირთის გადატან-გადმოტანის მოსკოვის შრომის არტელი“-სა და ნებართვა სთხოვა ტფილისში მოსკოვის არტელის ამხანაგობა გახსნას.

◆ **ი. ჯავახიშვილმა** 7 იანვარს ქართულ თეატრში წაიკითხა პირველი ლექცია საქართველოს ისტორიიდან. ლექცია მეტად შინაარსიანი იყო, ხალხი ბევრი დაესწრო და ფრიად ნასიამოვნები დარჩა. მეორე ლექცია გუშინ წაიკითხა. დაწვრილებით ანგარიშს მოვათავსებთ.

◆ **ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვის** განსახილველად დღეისთვის დანიშნულია ქალაქის საბჭოს საგანგებო კრება.

◆ პოლიცმეისტერმა განკარგულება გასცა, აიძულონ ის სახლის პატრონნი, რომელთა სახლებსაც წელიწადში—2.000 მან. შემოსავალი აქვს, რათა საკუთარი მეეზოვენი იყოლიონ.

◆ **ქართული თეატრი.** დღეს, 9 იანვარს, ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ მეექვსეჯერ წარმოდგენილ იქნება ი. გედევანიშვილის ახალი პიესა „სინათლე“. რადგანაც ბილეთები ამ წარმოდგენაზედაც თითქმის გაიყიდა, ამიტომ გამგეობა აპირებს კიდევ გამეორებას ამ მოკლე ხანში.

## საზოგადოებანი და კრებები

◆ **კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების** საბჭოს კრება 7 იანვარს მოხდა. საბჭომ მოისმინა მიწათ-მოქმედების დეპარტამენტის მოხელის ბ. დ. ივანოვის მოხსენება სამეურნეო საზოგადოებასთან შესასწავლ ბიუროს დაარსების საჭიროების შესახებ. საბჭომ მოხსენება მოიწონა და დაადგინა, წარუდგინოს იგი საზოგადო კრებას, რომელიც დანიშნულია 16 იანვრისთვის.

◆ რუსეთის **მეხილეობის საზოგადოების** ამიერ-კავკასიის განყოფილების მორიგი კრება დანიშნულია 10 იანვრისთვის, საღამოს შვიდ ნახევარ საათზე მიწათმოქმედებისა და მიწათმოწყობის სამმართველოს კავკასიის რწმუნებულის კანცელარიაში. კრება აირჩევს ერთს წარმომადგენელს მევენახეობისა და მეღვინეობის ტფ. საგუბერნიო კომიტეტში და მოისმენს ა. მ. დემეხტიევისა, ზ. ი. ხაჩატუროვისა და ბ. ბ. ბაგრამოვის მოხსენებას.

## სასწავლებლებში

◆ სახალხო სკოლების დირექტორმა გუბერნატორს დასამტკიცებლად წარუდგინა ს. არანისის მცხოვრებთა განაჩენი, რომლითაც ისინი კისრულობენ ადგილობრივ სკოლის შენობის აგებას.

## სომეხთა ცხოვრება

◆ **სომხურ ეთნოგრაფიულ საზოგადოების** წევრთა კრებაზე 4 იანვარს ლალაიანმა წაიკითხა მოხსენება ქვის ეპოქის შესახებ კავკასიაში, ხოლო არქიმანდრიტ მესროპ მუქსუტიანმა სომხური ენის და ცივილიზაციის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა ენის განვითარების მიხედვით უმთავრესი ხანები სომეხთა ცივილიზაციის განვითარებისა ისტორიის წინა დროიდან დღემდის და ამასთანავე მიაქცია ყურადღება სომხურის ნათესაობას ინდო-ევროპიულ ენებთან.

## ქუთაისი

◆ ამას წინად ადმინისტრატიული წესით დაპატიმრებულთაგან გაანთავისუფლეს ნაფიცი ვექილის თანაშემწე გრ. გიორგაძე, ბ. მახვილაძე, ი. ბახტაძე და მ. ბერიშვილი.

◆ ქუთაისის ყასბები სთხოვენ ქალაქის გამგეობას ხარისა და ძროხის ხორცის ნიხრი სამ შაურად აუწიოს და ცხვრის ხორცზე აბაზამდი.

◆ პეტერბურგის სამოსამართლო პალატის ნაფიც ვექილთა საბჭოს გადაუწყვეტია ათასი მანეთი გადასდოს დასავლეთ საქართველოში დამშეულთა სასარგებლოდ. ეს ფული მესამე სათათბიროს დეპუტ. ევგ. გეგეჭკორისთვის გადმოუციათ.

◆ მეორე სახ. სათათბიროს დეპუტატმა მახარაძემ კატორგის სასჯელი მოიხადა და ამ ჟამად ენისეის გუბერნიაში იმყოფება, სადაც საცხოვრებელი ბინა აქვს გადაწყვეტილი. სოც.-დემოკრატიულ ფრაქციაში მომხდარი უთანხმოების გამო მახარაძე პროტესტს აცხადებს.

## დუშეთი

◆ **უბედური შემთხვევა.** სოფ. ძალისში შემდეგი უბედურება მოხდა, ყულო რუბაშვილმა გატენილი თოფი ხეზე მიაყუდა და თავის სახლში შებრუნდა, ამ დროს მივიდა 17 წლის ბავშვი ვასილ გაბრიელაშვილი და თოფს სინჯვა დაუწყო. თოფი უცაბედად გავარდა და მძიმედ დაიჭრა იქვე მდგომი 10 წლის ბავშვი ვლადიმერ ბეკოშვილი, რომელიც ჩქარა გარდაიცვალა.

◆ **დაჭრა.** ს. ალევისში ჩხუბის დროს გაბო მელაძემ ცულით მძიმედ დასჭრა ბერო მელაძე.

## სიღნაღი.

◆ **ქუნთრუშა.** ველისციხის სასოფლო საზოგადოებაში ქუნთრუშა მძვინვარებს.

◆ **დაჭრა.** ს. ყარაჩალში ვასილ კოტიაშვილმა დანით მძიმედ დასჭრა ალექსი ჭუჭულაშვილი.

◆ 28 დეკემბერს სიღნაღის ახალ კლუბში გაიმართა **შობის ხე.** საღამომ მშვენივრად ჩაიარა. ბავშვებს საჩუქრები დაურიგეს. სამხედრო მუსიკა უკრავდა. საღამოზე წესიერება იყო.

# დღიური

### პოლიტეხნიკუმი თუ თავისუფალი უნივერსიტეტი?

ჯერ კიდევ არ დამთავრებულა გამწვავებული კამათი პოლიტეხნიკუმის ადგილის არჩევის შესახებ და უკვე აღიძრა ეჭვები იმის შესახებ, მართლა დაარსდება პოლიტეხნიკუმი, თუ მის გარშემო ატეხილს აურზაურს მხოლოდ თეორეტიული, განყენებული მნიშვნელობა ჰქონდა და პოლიტეხნიკუმი თუ აშენდება, ყოველს შემთხვევაში არა ახლო მომავალში? შეიძლება გამართლდეს ერთის ჩემის ნაცნობის წინასწარმეტყველობა, რომ პოლიტეხნიკუმის საკითხის ერთად ერთი რეალური შედეგი ის იყო, რომ სომხებმა და ქართველებმა ერთმანეთს უსიამოვნება მიაყენეთო. ამას ამოწმობს, სხვათა შორის, ბაქოელების საქციელი, თუ მართალი გამოდგა: ბაქოელებმა ერთ მილიონამდე აღუთქვეს პოლიტეხნიკუმს, მაგრამ ეძნელებათ ამ ფულის თავიდანვე გამოღებაო.

მეორეს მხრით ერთი უცნაური ხმებიც ვრცელდება საზოგადოებაში: ვითომც ძმ. ზუბალაშვილებს გადაუწყვეტიათ რამდენისამე ასი ათასი მანეთის შემოწირვა, თუ პოლიტეხნიკუმი საბურთალოზე აშენდებაო; ამავე პირობით ერთს ბაქოელს მდიდარს თათარს უნდა მილიონ ნახევარი გამოიღოსო და სხ.—მე ვფიქრობ, რომ ეს ხმები სიმართლეს მოკლებული უნდა იყოს და გამოგონილია საბურთალოს ზოგიერთ მომხრეებისაგან, რომელთაც, ალბად, რაც ესიზმრებათ, ის ელანდებათ. მაგრამ ეს ხმები ძლიერ ახასიათებს ჩვენს საზოგადოებრივს აზროვნებას, კავკასიელების საერთო უკულტურობას და პოლიტიკურს შეუგნებლობას, და სწორედ ესაა ფრიად საინტერესო და საგულისხმიერო პოლიტეხნიკუმის გარშემო ატეხილ დავაში, ამას უნდა მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება.

უმაღლესი სასწავლებელი ძლიერ საჭიროა ჩვენთვის და განა მარტო უმაღლესი! საზოგადოდ სკოლების დიდი სიღარიბეა ჩვენს ქვეყანაში, არაა პირველ დაწყებითი სკოლები, არაა პროფესიონალური, სპეციალური საშუალო სასწავლებლები, დედა-ენა თითქმის სრულიად აკრძალულია, თავისუფალი მოღვაწეობა სწავლა განათლების გასავრცელებლად ათასნაირად შებორკილ-შეზღუდულია,—ეს ყოველივე ცხადზე უცხადესია, ამის დამტკიცება არავისთვის საჭირო არაა, და ყველა სიხარულით უნდა მიეგებოს უმაღლესი სასწავლებლის დაარსებას ჩვენში, განსაკუთრებით სპეციალურისა, რომელიც მოგვცემდა ჩვენის ქვეყნის ნიადაგისა და ბუნების შესაფერს მცოდნე ადამიანებს. პოლიტეხნიკუმის საშუალებით ტფილისში თავს მოიყრიდა მრავალი სტუდენტობა, რომელიც პროფესორებთან ერთად დიდს კულტურულს ძალას წარმოადგენენ თავისთავად. ეს პოლიტეხნიკუმი გაუადვილებდა უმაღლესი სწავლის მიღებას მდაბალი, ღარიბი წრის შვილებს.

მაგრამ მარტო ამ მხრივ არ უნდა შევხედოთ პოლიტეხნიკუმის თუ სხვა უმაღლესი სასწავლებლის დაარსებას. უმაღლეს სასწავლებელს შეუძლია მადლთან სიბოროტეც მოგვიტანოს, გაძლიერებასთან შეიძლება უძლურებაც მოგვანიჭოს, რასაც ერთის ხელით მოგვცემს, მეორეს ხელით წაგვართვას, თუ მისი არსებობა არ იქნა ჩაყენებული ჩვენთვის სასურველ პირობებში. უმაღლესი სასწავლებელი პოლიტიკურ-კულტურული იარაღია არა მარტო ჩვენის ეროვნებისათვის, იგი უფრო ძლიერი იარაღი იქნება იმათვის, რომლებიც ებრძვიან ჩვენს ეროვნებას... ხოლო ამაზე უფრო საყურადღებო აი, რა არის: ტფილისის პოლიტეხნიკუმის დასაარსებლად უმთავრეს საშუალებას იძლევიან კერძო პირები და ადგილობრივი საზოგადოებრივი დაწესებულებანი, პოლიტეხნიკუმი უნდა დაარსდეს უმთავრესად ჩვენის საკუთარის სახსარით და ამავე დროს დროს პოლიტეხნიკუმის არც მოწყობასა და არც გაძღოლა-ხელმძღვანელობაში ჩვენ არავითარი მონაწილეობა არ გვექნება. ჩვენ ფული უნდა გამოვიღოთ, ხოლო საქმის ბატონ-პატრონი კი უნდა იყოს სხვა. ნუ თუ ეს ჩვენი ინტერესის შესაფერი საქციელია?

განა უკეთესი არ იქნებოდა, თუ უკვე შეგროვილს თანხას მოუმატებდით სხვა შემოწირულობასაც კერძო პირებისა და საზოგადოებათაგან და გავხსნიდით ისეთს თავისუფალს უნივერსიტეტს, როგორიცაა შანიავსკისა მოსკოვში, ან თავისუფალსვე მსგავს სპეციალურს უმაღლეს სასწავლებელს, სადაც ჩვენვე ვიქნებოდით პატრონები და ხელმძღვანელები? დარწმუნებული ვარ, თუ საქმეს კარგად დავაყენებდით თავიდანვე და მხნედ შევუდგებოდით მის განხორციელებას, გამოჩნდებოდნენ ქველმოქმედნი როგორც ქართველებში, ისე თათრებსა და სომხებში, რომლებიც ყოველთვის გამოიღებდნენ საჭირო ფულს. ასეთ ნიადაგზე მოწყობილი სასწავლებელი იქნებოდა საკუთარი ჩვენი არა მხოლოდ ქონებრივად. ასეთი უმაღლესი სასწავლებელი მოგვცემდა არა მოხელეებს, არამედ ნამდვილს პრაქტიკულს მოღვაწეებს, რომლებიც სხვებს კი არ შესცქერიან პირში, არამედ პირადის ძალღონით ჰქმნიან საქმეს.

ასეთს სასწავლებელში შეგვიძლიან მოვაწყოთ განსაკუთრებული კათედრები კავკასიის მდიდარი კულტურის შესასწავლად, გავმართოთ კურსები ქართული, სომხური და თათრულის ენის და ისტორიისა და ეს უფრო შეუწყობდა ხელს ჩვენის ერთმანეთის გაცნობას და დაახლოვებას, ეს უფრო მოამზადებდა ნიადაგს კავკასიელ ერთა ძმურის ურთიერთობისათვის, ვიდრე საბედისწერო პოლიტეხნიკუმი, რომელიც ჯერ არ დაარსებულა და სიძულვილი და ძლვარძლი კი უკვე დასთესა მეზობლებს შორის. ასეთს სასწავლებელს და არა სახაზინო კოკარდიან პოლიტეხნიკუმს მოითხოვს დაბეჯითებით კავკასიელთა პოლიტიკურ-კულტურული და ეკონომიური ინტერესები და ამის შეგნება, ამის ნათელი გათვალისწინება გვევალება ყველას. დრო არის, ვიქონიოთ საკუთარი მსჯელობა, შევიმუშაოთ ჩვენი საჭიროების შესაფერი გეგმა და დავადგეთ გზას, რომელიც უკეთ უზრუნველჰყოფს ჩვენს კეთილდღეობას.

**სიტყვა.**

# რუსეთი

### სასურსათო წესდება.

მინისტრთა საბჭომ მიიღო შემდეგი დებულებანი სასურსათო წესდებისა. მოუსავლობის გამო დაზარალებულთათვის საუკეთესო ფორმა დახმარებისა არის სამუშაოს გამოძებნა. თანხისა და სურსათის მიღება იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც შრომის გამოძებნის საქმე და სხვაგვარი დახმარება მოუწყობელია. სასურსათო საქმის მართვა-გამგეობა სავსებით მთავრობის ხელშია და იგია პასუხისმგებელიც. საერობო თვით-მართველობებს, მათისავე სურვილით, შეიძლება დაევალოს დახმარების სხვა ზომების გამონახვა. განსაკუთრებითი საერობო თანხების შეკრება მოუსავლობისაგან დაზარალებულთა დახმარების აღმოსაჩენად სავალდებულო არ არის.

# 1913 წელი კახეთში

შიგნით კახელნი 1913 წელს მაინცა და მაინც ვერ დავემდურებით, თუმცა ქვემო მხრისთვის ე. ი. ქიზიყისთვის არა სასურველი იყო იგი.

**ამინდი და მოსავალი.**

რასაკვირველია, მოსავალი ამინდზეა დამოკიდებული. წლის მოსავალს კი საერთოდ ხელი შეუწყო ტაროსმა, თუმცა ზოგიერთ ნაწილებში სეტყვამ გააფუჭა ჭირნახული, ზოგში გვალვამ შეაწუხა, მაგრამ მაინც ყველა მოსავალი კარგი იყო, [illegible]ვად ღვინისა.

**დავალიანება.**

ცალკე წინა წლების მოუსავლობით შეწუხებული კახელი, ცალკე ათას გვარ მოთხოვნილებით და გადასახადებით შევიწროებული, იძულებულია ხშირად ვალს მიჰმართოს. ზოგჯერ მომავალ მოსავალს ჰყიდის ნახევარ ფასად. ამიტომაა რომ, რაც უნდა კარგი მოსავალი მოვიდეს, მაინც წლის სამყოფი სარჩო ძნელად შეაქვს გლეხს თავის ოჯახში.

ვალის აღება კახეთში საარაკო გარემოებაში ხდება, თუმანი ორ აბაზად ან ათ შაურათ თვეში, ჯარიმები სხვაა. წლის წლობამდე სარგებელი თავნს უსწორდება და ძნელი ხდება მისი მოშორება ამ შემთხვევაში წვრილი კრედიტი ძრიელ ჰშველის სოფლელთ.

**წვრილი კრედიტი.**

სასიამოვნო აღსანიშნავია, ამ სიმპატიურ დაწესებულებათა რიცხვი თანდითან მრავლდება კახეთში. ათ სოფელში უკვე არსებობს და ამათ გარდა ზოგი კრედიტით მეზობელი სოფლებიც ჰსარგებლობენ. ზოგან ეხლა შუამდგომლობენ.

რამდენადაც ვიცი, არსებული წვრილი კრედიტი ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. ფულის გატანის მსურველი ბევრია, მხოლოდ თანხა მალე ილევა და ყველას ვერა სწვდება. ამისათვის ჩარჩ ვაჭართ ჯერ-კიდევ რჩებათ ჩვენი სოფელი საექსპლოატაციოდ. როგორც სარწმუნოდ ვიცი, საკრედიტო დაწესებულება ია მოვალენი ყველგან პირ-ნათლად იშორებენ ვალს და ზოგი ვადაზე ადრეც. ეს გარემოება კეთილ აღსანიშნავია; საჭიროა თანხის გადიდება, რომ მეტმა რიცხვმა შესძლოს მისით სარგებლობა.

**წყალი.**

წყლის დიდ ნაკლულოვანებას გრძნობენ ალაზნის მარჯვნივ ცივგომბორის მთის კალთებზე მდებარე სოფლის მცხოვრებნი. აქ სარწყავ წყალზე მეტია ლაპარაკი, როცა ზაფხულობით ბევრი მათგანი უწყლო რჩება ხოლმე. თითქმის ყველა სოფლის თავში მშვენიერი წყაროებია, რომლის ერთად მოკრეფა და გამოყვანა არც ისეთი ძნელია და არც ისე ძვირად დაჯდება. ბევრ სოფელს მშვენიერი წყაროები ჩამოუდით, მაგრამ წესიერად მილებით გამოყვანილი იშვიათია, რის გამოც წყალი ჭუჭყიანდება, ნამეტნავად ზაფხულში, შმორდება, უწმინდურობისგან იწამლება, რომელიც ძლიერ ცუდად მოქმედობს მცხოვრებლებზე და თუ რაიმე სატკივარი ჩნდება (რაიც ხშირია ზაფხულობით სოფლად) ამაში უპირველესი მიზეზი წყალს უდევს.

**ჯანმრთელობა.**

რამდენადაც თვალ-ყურს ვადევნებდი 1913 წელს, ამ მხრივ ვერ დავემდურებით. ხალხმა არ იკლო, არც რაიმე გადამდები სენი ყოფილა გავრცელებული კახეთში.

აქვე უნდა შევნიშნო, რომ კახე-

---

ტორსა და დინამო-მანქანას ელექტრონით გასანათებლად. კანტორა გზავნის ტეხნიკოსებს, რომლებიც უწევენ ხელმძღვანელობას წისქვილის აშენებასა და მანქანების დადგმაში. მანქანების გადმოტანა, ხე-ტყის მასალა, მუშები, ასი მანეთი თვიურად ხელმძღვანელ ტეხნიკოსათვის—საზოგადოების ხარჯზე.

ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილად. პირველი გადასახადი—8000 მანეთი—უნდა შეეტანათ მეოთხე თვეზე წისქვილის აბრუნებიდან. დანარჩენი—ყოველ მეექვსე თვეს, ხუთხუთ ათასობით, სანამ მთელ ვალს არ გაისტუმრებდნენ.

რწმუნებულებმა ჩაიწერეს ყველაფერი, დაიმახსოვრეს, რაც უთხრეს, და გასწიეს მეორე კანტორაში. აქაც მათ მოუსმინეს გულდასმით, გამოჰკითხეს ყველაფერი, რაღაც ჩაილაპარაკეს თავის ენაზე, გულიანათ ჩაიცინეს და შემდეგ ყველაზე უფროსი მიუბრუნდა რწმუნებულებს ასე მოახსენა: „იცითო, რას გეტყვით, ჩემო კარგებო!.. ჩემი აზრი და გულწრფელი რჩევა-დარიგება ასეთია: გირჩობთ, რომ დაბრუნდეთ შინ და გაუძღვეთ ისევ თავიანთ ხარებს და იცხოვროთ ისე, როგორც დღემდი გიცხოვრიათ.. წისქვილის აშენება რა თქვენი საქმეა!“..

მესამე კანტორაში უფრო ლმობიერად მიიღეს რწმუნებულები, ვინემ მეორეში, მარა იქ წამოყენებული პირობა—თავიდანვე ღირებულების მესამედის შემოტანაზე მიუღებელი იყო საზოგადოებისათვის და ამიტომ ისინი დაბრუნდნენ პირველ კანტორაში.

ახლა რწმუნებულებს გააგებიეს კიდევ, რომ ერთი დღის სავალის მოშორებით აშენებულია ამ კანტორისაგან წისქვილი, რომლის ნახვა შესაძლოა მუშაობაში. მთელი დეპუტაცია იქითკენ გაემგზავრა.

წისქვილი ძლიერ მოეწონა დეპუტატებს.

ადგილობრივ მცხოვრებლებთან მოლაპარაკებით და წისქვილის პატრონისგან რწმუნებულებმა გაიგეს, რომ წისქვილი ძლიერ კარგად მუშაობს და სწორედ ასეთი წისქვილი, მხოლოდ ცოტად მეტი, სავსებით დააკმაყოფილებს მათს მოთხოვნილებას.

გადაწყვიტეს აქიდანვე წასვლა კანტორაში, რომ მასთან დროებითი პირობა დაედოთ და შესდგომოდნენ საჭირო მაშინების დამარაგებას. იქიდან კი დაუყონებლივ დაბრუნება თავის სოფელში, რომ მოეხსენებიათ საზოგადოებისათვის რაც ნახეს, გაიგეს და გააკეთეს.

იმ დროს, როცა დელეგატები მოლაპარაკებას ახდენდნენ სხვა და სხვა კანტორებში და ცდილობდნენ რაც შეიძლება უფრო ხელსაყრელ პირობებში მოეყვანათ სისრულეში საზოგადოების მონდობილობა,—სოფელ კრიმსკაიაში დიდი მითქმა-მოთქმა იყო გამართული.

წამოუყვეს თავი ბნელმა ძალებმა, რომელნიც მიმალულიყვნენ ხალხის აღფრთოვანებისგამო, და ახლა შეუდგენ ხალხში ჭორების გავრცელებას.

სოფლის ყრილობის დადგენილება, განსაკუთრებით ის ნაწილი, რომელიც ადასტურებდა საზოგადო მიწის საიჯარო ფასის გადადებას წისქვილის ასაშენებლად, ბევრს არ ეამა, რადგან ეს დიდათ ეხებოდა მათს პირად ინტერესებს. ამისგამო, უმთავრესად, გამწვავდა მდგომარეობა, აირია მონასტერი და დაიწყო მხურვალე აგიტაცია დადგენილების დასარღვევად.

აგიტაციაში ჩაებენ ისეთი პირებიც, რომელნიც გამსჭვალული იყვნენ ადმინისტრატორულის ძალაუფლებებით. ასე, მაგ., ერთხელ საზოგადო დუქანში შემოიჭრა სოფლის ატამანი და 40—50 კაცის დასწრებით წაიკითხა ვითომ უფროსისაგან მიღებული ქაღალდი, რომელშიც იწერებოდა: რომ კრიმსკაიას მომხმარებელ საზოგადოებას არა აქვს უფლება წისქვილის აშენებისა, რომ იაკობ ვასილის ძე, ხელმძღვანელ ამ საქმისა, როგორც ერთ დროს გადასახლებული, პოლიტიკური დამნაშავეა, რომ ისეთ საწინააღმდეგო საზოგადოებას, რომელიც შესდგება იაკობ ვასილის ძისა და მისი მომხრეებისგან, არ შეიძლება მიეცეს ნება წისქვილის აშენებისა და რომ საერთოდ მომხმარებელ საზოგადოებას სრულებით აღკრძალული აქვს წისქვილზე ლაპარაკიც.

მალე მომზადდა „შესაფერი“ ნიადაგი. მოიწვიეს ხელ მეორედ სოფლის ყრილობა, რომელსაც დაესწრო უმეტესად დაინტერესებული პირები, და დადგენილება პირველი ყრილობისა უარყოფილ იქნა.

უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდენ დაბრუნებული დელეგატები.

მაგრამ ისინი არ დაცემულან სულით, მათ არ მოინდომეს უბრძოლველად ბრძოლის ველის დატოვება. მათის მოთხოვნით მოიწვიეს მესამე ყრილობა.

ყრილობა მეტად საგულისხმო იყო. ორივე მხარე განსაცვიფრებელ ენერგიას იჩენდა. საინტერესო შეტაკება იყო მოსალოდნელი.

ამოძრავდა სოფელი. ყველა ყრილობისკენ მიეშურებოდა. ყველგან წისქვილის შესახებ იყო ლაპარაკი.

ყრილობის თავმჯდომარედ აირჩიეს ადგილობრივი სახაზინო არყის დუქნის გამგე. კრების გახსნისთანავე ატამანმა გამოუცხადა ხალხს, რომ უფროსის ბრძანებით იაკობ ვასილის ძეს, როგორც პოლიტიკურ დამნაშავეს, ყრილობაზე სიტყვის წარმოთქმა ეკრძალებაო.

თავმჯდომარემ დაადასტურა, რომ ატამანმა სიმართლე სთქვა, და განაცხადა, რომ იაკობ ვასილის ძეს სიტყვას არ მივცემო.

პირველად იაკობ ვასილისძეს გამოესარჩლა სოფლის მღვდელი, ცნობილი როგორც კარგი ადამიანი. მას ბანი მისცენ სხვებმაც და გადაწყვიტეს, რომ მიუხედავად თავმჯდომარისა და ატამანის განცხადებისა, სიტყვა მიეცათ იაკობ ვასილის ძისთვის.

— არ ვიცი სწორედ, რა უნდა გითხრათ,—დაიწყო სიტყვა იაკობ ვასილისძემ.—მე ვგონებ, რომ ყველამ ჩემზე უკეთ იცის, რომ იმ ჯურის ადამიანებს, რომლებმაც გამოიწვიეს წისქვილის აშენების უარყოფა, არასოდეს არ გაუკეთებიათ ხალხისთვის სასარგებლო საქმე.

ყოველივე ისეთ საქმეს, რომელიც მიმართულია ხალხის საკეთილდღეოდ, ისინი ეღობებიან და წინააღმდეგობას უწევენ, როგორც მოსისხლე მტრები. და ეს იმიტომ, რომ მათ ეშინიან, რომ მომავალში, როცა თქვენ შეერთდებით, თქვენის შრომის ნაყოფით ისინი ვერ ისარგებლებენ; მათ ეშინიან, რომ ადრე თუ გვიან ასეთი ამხანაგობებით თქვენ ისე მოაწყობთ თქვენს ცხოვრებას, რომ ისინი სულაც არ იქნებიან თქვენთვის საჭირონი.

დაფიქრდით კარგათ: რით გაშინებენ თქვენ, როცა გირჩევენ წინააღუდგეთ წისქვილის აშენებას?.. ისინი გეუბნებიან, რომ თქვენ მოგატყუებენ, მოიპარავენ თქვენს ფულებს და პირად თქვენ ციხეში ამოყოფთ თავს, რადგან „არა საიმედო“ პირებთან იკავებთ საქმესო.

სწორედ ამასვე გეუბნებოდენ თქვენ ისინი, როცა კოოპერატიულ დუქანს აარსებდით. მაგრამ, მიუხედავად ამისა, როგორც თქვენც კარგად მოგეხსენებათ, დღემდი არაფერი არ მოუპარავთ, არავინ მის გამოისობით ციხეში არ მჯდარა და არამც თუ არავის არ დაკარგვია ფული, არამედ, პირიქით, ყველა წევრებმა და მყიდველებმა დივიდენდები (მოგება) მიიღეს.

აი რა ფასი აქვს ამ შავ-ყორანთა ქადილს! აი როგორ სრულდება მათი წინასწარმეტყველება!..

თავმჯდომარემ შეჩერება მოინდომა იაკობ ვასილის ძისა, მაგრამ აგრიალდა ყრილობა და არ მოისურვა მისი მოსმენა. ბოლოს მთლად იძულებული შეიქნა ის გაქცეულიყო ყრილობიდან და თავმჯდომარედ იაკობ ვასილის ძე აირჩიეს.

საქმეს სხვა მიმართულება მიეცა. ყრილობა აუცილებლად დაარღვევდა მეორე ყრილობის დადგენილებას და დაადასტურებდა პირველისას, მარა მოულოდნელად გამოირკვა, რომ მომხმარებელი საზოგადოების წევრებს მობეზრებიათ მთელი ეს ისტორია და გადაუწყვეტიათ წისქვილის აშენება დამოუკიდებლად.

— ჩვენს შორის უკვე განმტკიცებულია თანხმობა და ერთმანეთისადმი ნდობა და სიყვარული. რასაც დავადგენთ, იმას კიდევაც მოვიყვანთ სისრულეში, და თუ ყრილობის დადგენილებით დავიწყეთ წისქვილის აშენება, გავწვალდებით და ეს საქმე არ განხორციელდებაო,—განაცხადეს მომხმარებელი საზოგადოების წევრებმა.—დღეს თქვენ დაადგენთ წისქვილის აშენებას, ხვალ კი ვილაცა ჩაგილაპარაკებენ და უარყოფთ თავის დადგენილებას... საქმე ასე არ კეთდება, თქვენი დაამხანაგება ჩვენ არ გამოგვადგებაო...

ყრილობა დაიშალა. მომხმარებელი საზოგადოების არა წევრები ჩამოაშორეს წისქვილის აშენების საქმეს. მოიწვიეს კრება მარტო მომხმარებელი საზოგადოების წევრებისა, რომელზედაც გამოირკვა, რომ საზოგადოების კასიდან შესაძლო იყო წისქვილისთვის 5000 მანეთის გადადება *). რადგან ეს თანხა არ კმაროდა, წევრებმა აქვე განაცხადეს სურვილი ესესხებინათ საზოგადოებისთვის, ვისაც რამდენი შეეძლო! გაიმართა ხელის მოწერა. თუმანზე ნაკლები არავის არ მოუწერია, იყვნენ ისეთებიც, რომელთაც ორასობით მოაწერეს.

როცა გამოიანგარიშეს, გამოირკვა, რომ მოუწერიათ ხელი 3000 მანეთზე. ყველას იმედი მიეცა: 8000 მანეთით საქმის დაწყება შეიძლებოდა!..

**იასონ გაბილაია.**

(დასასრული ხვალ).

*) შეუთანხმდენ როსტოვის აგენტურას, რომ დროებით შეაჩერებდენ ვალის გასტუმრებას.

თის თითქმის ყველა რაიონში მოიპოვება ექიმ-ფერშალი ან საავადმყოფო. 1913 წელს ერთი სასოფლო ქსენონი—კიდევ მიემატა სოფ. ძველ გავაზისა. თელავის მაზრაში ეხლა 5 ქსენონია. ენისელისა, იყალთოსი, ვაჩნაძიანისა, ყვარლისა და ძველი გავაზისა, პირველი ორი ერობის ხარჯით ინახება, ხოლო დანარჩენები ადგილობრივ მცხოვრებთა ხარჯით.

**სწავლა-განათლება.**

ამ ბოლო წლებში და საანგარიშო წელსაც სოფლის მცხოვრებნი ძრიელ ეტანებიან სკოლას. შემოდგომობით აუარებელი ბავშვები მიჰყავთ, მაგრამ საუბედუროდ მთხოვნელთა ნახევარ-ნათხალს ვერცკი იღებენ უადგილობისა გამო. ზოგან შეძლებულმა სოფლებმა სკოლის შენობა გააფართოვეს. საჭიროება დიდია, მაგრამ 1913 წელს არც ერთი ახალი სკოლა არ გახსნილა. სოფელთა მომეტებული ნაწილი ხარჯს ერიდება, რომელიც არც ისეთი დიდია, საკმარისია სახლი და გათბობა. მაგრამ ჩვენ სოფელს პატრონი არა ჰყავს, რომ ჩაგონოს და შეასმინოს ხალხს ცოტას გაღებით ბევრით სარგებლობა. რაც შეეხება სწავლა-აღზრდის საქმესთან ახლო მდგომ მოხელეებს, ესენი ოფიციალურად ეკიდებიან საქმეს. ასე რომ არა ყოფილიყო, არ დაიკეტებოდა ამ ათი წლის განმავლობაში სამრევლო სკოლები: ს. ურიათუბანში, აკურაში, ვანთაში, ქვემოხოდაშენში, კურდღელაურში და სხვ.

სოფლის სკოლებში არსად არ არსებობს სამეურნეო განყოფილება, რაიც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს კახეთში. სახალხო სკოლების დირექცია უფრო ყურადღებას აქცევს ხელ-საქმეს, რამდენიმე სკოლაში მაგ. შილდაში და ყვარელში ცალკე მასწავლებელი ქალიც დანიშნეს. ესეც კარგი საქმეა, მაგრამ კარგი იქნება მეურნეობასაც მიექცეს ჯეროვანი ყურადღება, რომ კახელმა გლეხის ბიჭმა სკოლიდანვე დაიწყოს და შეიყვაროს მიწის მუშაობა...

**ბიბლიოთეკა-სამკითხველოები.**

მათი რიცხვი არ გამრავლებულა. ოთხი სამკითხველო შილდისა, ყვარლისა, ძველი-გავაზისა და ურიათუბნისა წ. კ. საზოგადოების თელავის განყოფილების სახელობაში არსებობს, ხოლო სოფ. ვაჩნაძიანში—ადგილობრივ ინტელიგენციამ დაარსა. ამ სოფელში სკოლა არ არის და აქეთკენ უნდა მიექცეს ამ სოფლის გულშემატკივართა ყურადღება.

რაც შეეხება დანარჩენ ბიბლიოთეკებს, მარტო შილდისა დავათვალიერე და მეტად კარგი შთაბეჭდილება მოახდინა, აქ საკუთარი შენობაც კი აუშენებიათ.

**ფილოქსერა.**

მართალია ფილოქსერა დიდი ხნის სტუმარი ყოფილა, მაგრამ კახეთის სოფლებში მხოლოდ 1913 წელს აღმოაჩინეს. ფილოქსერისთვის კი არავინ მომზადებული არაა. არა თუ ამერიკული ვაზის ვენახები არა აქვთ, არამედ სწორედ არც კი იცის კახელმა გლეხმა რა არის ფილოქსერა და როგორი ზიანი შეუძლიან მას მოუტანოს. მართალია, მთავრობამ ინსტრუქტორები დანიშნა ამ დარგზე სამოქმედოდ, მაგრამ რაც უნდა იყოს, თუ მთავრობა არ დაეხმარა ვაზის უსასყიდლოდ ან ძრიელ ნაკლებ ფასად მიცემით ვერავის შეუძლიან მისი გამკლავება.

**კახეთის მომავალი.**

რკინის გზის გაყვანით კახეთს დიდი მომავალი მოელის, ეხლავე აიწია ყველგან მიწის ფასმა, შეიძლება ამან დამღუპველად იმოქმედოს და ხელიდან გამოგვეცალოს მიწა-წყალი. ამისთვის ყველა კახელს გულშემატკივარი მოვალეა ანგარიში გაუწიოს ამ გარემოებას და ყველგან, სადაც კი იქნება და ვისთანაც მოუხდება ყოფნა, უნდა შეაგნებინოს ნუ დაჰხარბდებიან დღევანდელ ფასებს, რადგანაც მამული თანდათან უფრო მეტი ფასი დაედება.

**დავიწყებული.**

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

**8 იანვარი.**

**უცხოეთი.**

**ვენა.** „კორესპონდენც-ბიუროს" ვალონიდან ატყობინებენ: 5 იანვარს ელბასანის მიდამოებში ბრძოლა აღარ სწარმოებდა, რადგანაც უკანასკნელ ბრძოლაში ჟანდარმერიამ მეამბოხენი დაამარცხა. ელბასანის ახლო-მახლო სოფლის მცხოვრებნი ირწმუნებიან, დროებითი მთავრობას მტრულად არ ვუცქერით და ბრძოლაში მონაწილეობას მეამბოხენი გვაიძულებდნენო.

**ლონდონი.** სუფრაჟისტ ქალთა მიტინგი გაიმართა; ერთმა მოლაპარაკემ განაცხადა: სუფრაჟისტებმა გადასწყვიტეს დეპუტაცია გაუგზავნოს მეფე გიორგის თხოვნით, რათა ქალებს მიანიჭოს საარჩევნო უფლება.

**ტოკიო.** საკურაჯისში ცეცხლის მფრქვეველმა მთამ ხელახლად ამოხეთქა. ზოგიერთი ადგილი ნაცარტუტით არის დაფარული: ზარალი საკურასიმში ოთხ მილიონს აღწევს, კოგისიმში ნახევარ მილიონს.

**პეკინი.** რადგანაც ჩინეთში ფრიად გავრცელდა სარევოლიუციო პროკლამაციების ბეჭდვა, რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბრძანება გასცა, პროვინციის მმართველებმა თვალი ფხიზლად ადევნონ სარევოლიუციო ორგანიზაციების მოქმედებას.

**ლონდონი.** ახალ წლიდან ქ. ლიდსში სახლის ქირამ იმატა. ამის გამო მდგმურები გაიფიცნენ და სახლის ქირას აღარ იხდიან.

**ლისაბონი.** რკინის გზის გაფიცული მოსამსახურენი მუშაობას თანდათან უბრუნდებიან.

**ლონდონი.** „დეილი-ტელეგრ."-ის სარწმუნო ცნობით, მინისტრთა კაბინეტში საზღვაო პოლიტიკის საკითხის გამო თავი იჩინა კრიზისმა. კაბინეტის უმრავლესობა ეთანხმება ლოიდ-ჯორჯს და წინააღმდეგია ჩერჩილის წინადადებისა. ურთიერთობა ჩერჩილისა და ლოიდ-ჯორჯის შორის ფრიად გამწვავებულია. ამბობენ ან ერთი გადადგება ან მეორეო. თუ კაბინეტში ჩერჩილი დამარცხდა, თანამდებობიდან მთელი საზღვაო უწყება გადადგება. ამ საკითხს კაბინეტი ხუთშაბათს განიხილავს.

სააგენტოს სიტყვით, კაბინეტის კრიზისის ცნობები ძალიან გაზვიადებულია. უთანხმოება ჩვეულებრივის მიზეზით არის გამოწვეული: საფინანსო უწყება მოითხოვს ეკონომიას და შესაძლებლად არ სცნობს იმდენ თანხის გადადებას, რასაც მოითხოვს სამხედრო და საზღვაო უწყება.

**კალკუტა.** მრავალ მოწმეთა თვალწინ მოჰკლეს ინსპექტორის თანაშემწე გოზი, რომელიც მსახურებდა მაძებარ ბიუროში, არც ერთი კაცი არ შეეცადა მკვლელის შეპყრობას. იგი შეიპყრო გოზის მსახურმა. კალკუტის სტუდენტთა შორის ჩხრეკაა.

**მარმაროშ-სიგეტი.** უგრორუსთა საქმე. იზის ბრალდებულთა ჩვენების ჩამორთმევა გრძელდება ყველა ბრალდებული აცხადებს, ჟანდარმებმა გვაწამესო.

**ლონდონი.** ჩერჩილმა დაავალა რეიტერს განაცხადოს, რომ გაზეთებში მოთავსებული ცნობები კაბინეტში მომხდარ ამბების გამო სიმართლეს მოკლებულიაო.

**პარიზი.** ადამიანის უფლებათა ლიგის პრეზიდენტი პრესანსე სიდამბლით გარდაიცვალა.

**ტოკიო.** კოკუმინტოს პარტიის წარმომადგენელთა კრებაზე გამოიტანეს რეზოლიუცია, რითიც ჰგმობენ იაპონიის დიპლომატიის სისუსტეს.

**მარმაროშ-სიგეტი.** დიპტიჩის საზოგადოების ბრალდებულნი თავს დამნაშავედ არ სცნობენ.

**იოჰანესბურგი.** მატარებელთა წესიერი მიმოსვლა მთელს მხარეში აღდგენილია.

**თეირანი.** მთავარს ხაზინადრის მორნარის სახლის წინ პენსიონერებმა თავი მოიყარეს და მოითხოვეს პენსიების დაუყონებლივი დარიგება. ჟანდარმებმა ბრბო გაჰფანტეს. ახალ დემონსტრაციებს ელიან.

**პარიზი.** ვენიზელოსი ლონდონს წავიდა.

სენატი შემოსავალთა გადასახადების კანონ-პროექტის განხილვას შეუდგა.

**მაკასტერი.** (ოკლაჰომის შტატი). სამმა ტუსაღმა ციხის ზედამხედველს წაართვა რევოლვერი და გასაღები და ციხიდან გაქცევა მოიწადინა. მოჰკლეს ოთხი ზედამხედველი. სროლის დროს ტუსაღები დაჰხოცეს.

**რუსეთი.**

**პეტერბურგი.** საერობო დაწესებულებათა არსებობის 50 წლის თავზე პეტრე-პავლეს ეკლესიაში გადაიხადეს პანაშვიდი იმპერატორ ალექსანდრე მეორისა და მესამის სულის მოსახსენებლად. დაესწრნენ მინისტრები და ერობის 300 წარმომადგენელი.

**პეტერბურგი.** ჰაეროპლანს ნება დართეს პეტერბურგში 7 აპრილს მოიწვიოს მფრინავთა სრულიად რუსეთის კრება.

**პეტერბურგი** (ოფიციალური ცნობა). საგლეხო სადგილ-მამულო ბანკისგან. ამ ბოლო დროს გაზეთებში ცნობებია მოყვანილი საგლეხო ბანკში დაგირავებულ მამულების საჯაროდ გაყიდვის თაობაზე, ამის გამო საგლეხო ბანკი მოვალედ სთვლის გამოაცხადოს, რომ ყველა ეს ცნობა დაფუძნებულია სავაჭრო პუბლიკაციებზე; ამასთანავე სავაჭრო პუბლიკაციები ნამდვილ ცნობებს არ იძლევიან იმის გამოსარკვევად, თუ რამდენი მამული უნდა გაიყიდოს საჯაროდ. საგლეხო ბანკი იმ მამულების გაყიდვას აცხადებს, რომლის ნედოიმკებიც ერთი წლის განმავლობაში, შემდგომ ვადის გასვლისა, არ გადაუხდიათ. გამოცხადება მოხდება საჯარო ვაჭრობის სამი თვის წინად. ამასთანავე ამ ხნის განმავლობაში მრავალი მამული თავისუფლდება საჯარო გაყიდვისაგან, რადგანაც ზოგიერთებმა უკვე შემოიტანეს დარჩენილი ნედოიმკები. მაგალითად 1913 წელში აღნიშნული იყო გასასყიდად 16,000 მამული, ზომით 855,000 დესეტინა. ნამდვილად კი დანიშნული იყო საჯარო ვაჭრობა მხოლოდ 340 მამულზე, ზომით 10.000 დესეტინა. შემოდგომისათვის გასასყიდად გამოცხადებული იყო 21.000 მამული, ზომით ერთი მილიონი დესეტინა; გაიყიდა მხოლოდ 849 მამული, ზომით 30,000.

**პეტერბურგი.** (ოფიციალური ცნობა). საერობო დაწესებულებათა არსებობის 50 წლის იუბილეს გამო შინაგან მინისტრის სახელზე გამოიცა უმაღლესი რესკრიპტი, რითიც მოუწოდებს ღირსეულად იღვწასწაულოს რუსეთმა კულტურული ეკონომიური დღესასწაული, მადლობა გამოუცხადოს რუსეთის მონარქებს, რომელთა შეწყნობითაც განხორციელდა დიადი რეფორმა საერობო დაწესებულებისა და გაიფურჩქნა მისი მოღვაწეობა. აგრეთვე ყველა იმ ნომანის ხსოვნა იყოს პატივცემული, რომელიც დღიდან ერობის დაარსებისა მისდა სასარგებლოდ ჰმოღვაწეობდო.

**პეტერბურგი.** დეპეშითა სააგენტომ ეკატერინოსლავისა, პოდოლსკისა, პოლტავისა და ხარკოვის გუბერნიების სხვა და სხვა ქალაქიდან დეპეშები მიიღო ადგილობრივ ახალ სასამართლოთა საზეიმო გახსნის თაობაზე.

რედაქტორი ნ. კურდღელაშვილი.
გამომცემელი ა. ჯაჯანაშვილი.


# გულის სნეულებანი

გულის ქოთი, გულის სკრელოზი, გულის ფრიალი, გულის ქოშინი, ნევრასტენია და ნერვიული სნეულებანი, სქესობრივი უძლურება, მოხუცებულობის სიჩაჩანაკე, არაქათის დაკარგვა და სიგამხდრე ადვილად რჩება პელის სპერმინით, რასაც ამოწმებენ მწერლობაში არსებული მრავალი დაგვირგვინებანი მთელი ქვეყნის გამოჩენილ ექიმებისა.

პელის სპერმინი ერთად-ერთი ნამდვილი ნაცადი სპერმინია. ამისათვის ყურადღება უნდა მიაქციოთ სახელწოდებას **სპერმინი პელასი** და ხელი აიღოთ ყველა ყალბ მიმართულებაზე, როგორც ყოვლად უვარგის მიბაძულებაზე, რომელნიც არც შემადგენლობით, არც გავლენით პელის სპერმინთან საერთო არა აქვთ რა და ხშირად ჯანმრთელობისათვის მავნებელ შემადგენლობას შეიცავენ.

მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ წიგნი „სპერმინის სამკურნალო გავლენა". ხოლო ვისაც მთელი ორგანოთერაპია აინტერესებს 4 შვიდ კაპეიკიან მარკის გამოგზავნით ეგზავნებათ ეხლა ხან გამოსული წიგნი „ორგანიზმის სამკურნალო ძალანი".

სპერმინი პელასი ყველგან იშოვება.

**პროფესორი** ექიმი პელ-ი შვილებით პეტერბურგი მის იმპერატ. უდიდებულესობის სასახლის მომჯარადრენი

Метцль и К о 8699. 1014.

# ანასტას. ერისთავ-ხოშტარიასი

1) „მოლიპულ გზაზე", რომანი . . . 1 მ. 50 კ.
2) „ბედის ტრიალი", რომანი . . . ( 60 კ.
„ლაზარემ გაცოცხლება", მოთხრობა . (
3) „ქამისია", სურათები სოფლის ცხოვრებიდან 15 კ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ამ მისამართით:
г. Гори. Анастасіи Георгіевнѣ Хоштарія.

გასაგზავნ ხარჯის გადაუხდელად. ვინც სამსავე წიგნს ერთად გამოიწერს, ორ მანეთად გაეგზავნება და ვინც გამოიწერს ათ წიგნზე არა ნაკლებს, დაეთმობა „მოლიპულ გზაზე" 30 პროცენტი, დანარჩენებზე 20 პროცენ.

ამ მისამართვითვე შეიძლება გამოწერა

# დუტუ მეგრელის ნაწერებისა:

1) ლექსები, 70 კ., 2) მოთხრობები, 70 კ. ორივე წიგნის გამომწერს გაეგზავნება 1 მ. 20 კაპ.-დ, ათი წიგნის გამომწერს დაეთმობა 30%. 1012

# ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)

ეროვნულის ძეგლის პირდაპირ.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.

დილით:

„606" და „914"

11—12 ს. შეშხაპუნება

კონსულტაციურად.

გ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. ალიხანოვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საზვებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

გ. გ. ბენიამინოვი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, აავადმყოფ და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი თ. გ. ტერ-დავიდოვისა 1—2 ს. საზვებიო და ქალების ავადმყ.

საღამოთი:

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის 1004 დოქტორი გ. ა. ნავასარდიანი.

# საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდომელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თოქთოქიშვილს, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შეიტანონ დარჩენილი ფული, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 122

# ექიმი ზ. ა. მიქელაძე

15 ივნისიდან მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

# სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა

გადავიდა საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვოდოვოზნის შესახვევი № 8. მიიღება მშობიარეთა ყოველთვის დღე და ღამე, საამბულატორიო მიღება ავადმყოფებისა, მასსაჟი და ყვავილის აცრა საღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511

# „ჯეჯილი"

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

ოცდა-მეხუთე წელიწადი.

მიიღება ხელის მოწერა 1914 წლისათვის.

გამოვა თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი განყოფილებაა პატარებისათვის და მოზრდილთათვის.

ჟურნალი „ჯეჯილი" ტფილისში ღირება 4 მ., ქალაქ გარედ (გაგზავნით), 5 ნახევარი წლით 3 მ., ცალკე ნომერი 40 კ. ხელის მოწერა მიიღება ტფილისში „ჯეჯილის" რედაქციაში (ერტილერიის ქუჩა, № 5), ქუთაისში: ისიდორე კვიცარიძესთან, შორაპანში—ნ. წ. ნიკ. წუწუნავასთან და სამტრედიაში—ნიკოლ. ნანეიშვილთან.

რედაქციაში იყიდება ცალკე წლების ჯეჯილები.

1914 წ. ხელის მომწერლებს საჩუქრად დაურიგდებათ დასურათებული წიგნი: „კუნწულა".

ფოსტის ადრესი: Въ тифлисъ, въ Ред. груз. дѣтскаго журн. „Джеджили".

1003 რედაქტ.-გამომცემელი ან. თუმანიშვილ.-წერეთლისა.

# მუდამ დღე მოგვდის

თევზის მრეწველნი

# მმ. მეგველოვები.

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.

ტელეფონი № 712.

ახალ-ახალი

მტკვრის თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი.

აგრეთვე იყიდება მაილოვის

# ხიზილალა.

კოლოფით ქიქა და ხმელი სოკო აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში მარტის დოში, იანი, ჭიპა, ზურგიელები და სხვა ყოველნაირი თევზეულობა და კონსერვები.

# სპეციალური წიგნის მაღაზია

# პ. ოცხელისა და ამხ.

ქუთაისში.

იყიდება

ყოველგვარი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი,

გეოგრაფიული კარტები, სურათები თვალსაჩინო სწავლისათვის, მწერლების სურათებით, მოძრავი ანბანი და სხვა.

პროვინციის წიგნის მაღაზიებს, სასწავლებლებსა და ბიბლიოთეკებს

უძლევათ დიდი შეღავათი.

# სპეციალური საკანცელარიო მაღაზია

# დ. ოცხელისა და ამხ.

ქუთაისში.

იყიდება ყოველგვარი

საკანცელარიო და სასწავლო ნივთი;

ახლად მიღებულია არითმეტიკული „ჩოთქები" და ყუთები, საღებავები, საუკეთესო რვეულები, ყოველგვარი ქაღალდი, კალენდრები, პორტფელები, კანტორის წიგნები დ მრავალი სხ.

ფასები მეტად ზომიერია 1621

უფლებიანი სავაჭრო სკოლა და

# საბუღალტერო კურსები

ივანე ზაქარიას ძე ტერ-სტეფანოვისა

სკოლაში მიღება დაიწყება 8 იანვრიდან დილის 8 ნახ.—2 საათამდე. 15 იანვრიდან კურსების მეცადინეობა 1-ლ ჯგუფთან იწარმოებს 2 ნახ.—5 საათამდე. მე-2 ჯგუფთან საღამოს 7 ნახ.—10 საათ. იქვე იყიდება სახელმძღვანელონი ბუღალტერიის შესწავლა შეიძლება აგრეთვე მიწერ-მოწერითაც, მიხეილის ქ. სახლი № 17. 905.

# ტფილისის საპოლიტეხნიკო კურსები ინჟინერ ვინოგრადოვისა,

სახალხო განათლების სამინისტროს უწყებაში მყოფი.

განყოფილებანი: სამიწის-მზომლო და სასოფლო-სამეურნეო. ახლად მიიღებიან სამიწისმზომლო და საალმაშენებლო განყოფილებაში. კურსებზე მიიღებენ გამოუცდელად 1872 წ. წესდებით არსებულ საოქალაქო სასწავლებელში კურს-დამთავრებულთ, ხოლო ამაზე დაბალის სწავლით აღჭურვილთ კი გამოსცდიან. მეცადინეობა დაიწყება 7 იანვარს, მოწაფეთა მიღება—20 იანვრამდე. პროგრამებს ვგზავნით 4 შვიდ-კაპეკიან მარკის მიღებისათანავე. კურსები მოთავსებულია სასულიერო სემინარიის ძველს შენობაში. პირადი მოლაპარაკებისათვის კურსების კანცელარია ღიაა ყოველ დღე დილის 10 საათიდან საღამოს 8 ს.-დე. რადგანაც სამიწისმზომლო ტეხნიკების დიდი მოთხოვნილებაა, ამ კურსების დამსრულებელთათვის ადგილი უზრუნველ ყოფილია. 1656

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი პირველი

# საბუღალტრო კურსები ნ. ვ. აბრამიანისა

(დაარსებულია 1895 წ.)

„სავაჭრო ბუღალტერიის სახელმძღვანელოს" და სხვა სპეციალ. სახელმძღვანელოების ავტორისა.

ორივე სქესისათვის რადგანაც მეცადინეობა ყოველ დღე იქნება კურსებზე, სწავლა 4 თვე გაგრძელდება.

მეცადინეობა დაიწყება 15 იანვრიდან 1914 წ. კურსებზე სავალდებულოდ სწავლობენ: მრეწველობის ყველა დარგის ბუღალტერიას, ნავთის მრეწველობასთან და ნავთის ქარხნებთან დაკავშირებით, სხვა და სხვა მეთოდით, მაგრამ სპეციალურად იტალიური ორმაგი სისტემით; კომერციული ანგარიში; კომერციული კორესპონდენცია; ვექსილისა და ვაჭრობის უფლებას—პოლიტიკური ეკონომია; ანგარიში ჩოტებზე და კალიგრაფიას. არა სავალდებულოდ: უცხო ენებს, სტენოგრაფიას და საბეჭდავ მანქანით ბეჭვდას. მასწავლებლები—თავიანთ საგნების სპეციალისტები არიან, უმაღლესი განათლებით პრაქტიკულად და თეორიულად მომზადებულნი.

**ატესტატები** სამინისტროს ნებართვით სუსტად მომზადებულთათვის კურსებთან დაარსებულია დამატებითი მოსამზადებელი კლასები: რუსული ენისათვის და ანგარიშისათვის.

კურსების პროგრამა და წესი მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველთ ყოველ დროს. თხოვნები მიიღება ყოველ დღე დილის 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

კურსები აწვდის სავაჭრო დაწესებულებებს თეორიულად და პრაქტიკულად მომზადებულ ბუჰგალტრებს, თანაშემწეებს, კორესპონდენტებს დ კანტორის სხვა დ სხვა საქმის მცოდნე მოსამსახურეებს კურსების თავმდებობით. კურსებზე უსწავლია 2,200 კაცზე მეტს.

პირადად ან წერილობით მიჰმართეთ კურსების დამაარსებელს ტფილისში: ნიკოლოზის ქუჩა, 22, ს. ს. ტელეფონი 744. 1634


ტფილისი, სტამბა „შრომა" მუხრანის ქუჩა.